საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 12 აპრილი. 2024 წელი №44 (9724) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეულა უკარტისიბაზე უსაძაგლესია.





ირაკლი კოზახიძე:

მხოლოდ უსამშობლო ადამიანები თუ იკადრებენ იმას, რასაც ⑩ ჩვენი ოპონენტები ქართული სპორტისა და ხელოვნების წინააღმდეგ კადრულობენ!

რობინ ⑤ დანიგანიც გაწიწმატდა

ჩვენ შეშფოთებული ვართ, რომ კანონპროექტი საქართველოს ევროპული გზიდან გადაახვევინებს

⑦

ო, ენავ, ჩემო!

გიორგი გოგოლაშვილი:

კანონი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს!

დავით ქართველიშვილი:

კანონის მილებას კი არა, სუნთქვასაც გვიშლიან!

ამერიკის პრესსპიკერს ვურჩევ, წაიკითხოს საქართველოს ისტორია — ამ იმპერიების დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა, უბრალოდ, გაქრა, ხოლო საქართველო დღემდე არსებობს!.. ③

კორუმპირებული ენჯეოების გნიასი

გიორგი მარგველაშვილი:

პროტესტის ტალღა უნდა აგორდეს, მოხდეს რადიკალიზაცია

⑤

მოდი და ნუ დაუჯერებ, ბუნტისთავ ნაპრეზიდენტალს!

ის დაიბადა აპრილის თვეში... ⑨

გაზეთი „ლელო“ 90 წლისაა

⑪

ათასობით ქართველი „სილარიბის გამო“ აზარტულ თამაშებს თავს ვერ ანებებს...

ეკა სეფაშვილი:

დიდი მადლობა ამერიკას დახმარებისთვის, მაგრამ ვალში არც საქართველოა...

⑧

ირაკლი კობახიძე: ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით უფრო მეტად განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი

ევროპულმა სასამართლომ ჩვენ დასამშვიდებლად პუტინის რუსეთს ყური აუწია!

ევროპულმა სასამართლომ რუსეთის დაკისრა სრული პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის მასობრივი შევიწროების, დაკავებისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი კობახიძის** განცხადებაშია აღნიშნული.

„საქართველომ სტრასბურგის სასამართლოში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. ევროპულმა სასამართლომ რუსეთს დააკისრა სრული პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის მასობრივი შევიწროების, დაკავებისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისთვის.

კიდევ ერთხელ, უმაღლეს სამართლებრივ დონეზე გამყარდა ის, რომ ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამო ქმედებებზე, რომელიც ე.წ ბორდერიზაციასა და ადამიანის უფლებების განგრძობით, სისტემურ დარღვევაში გამოიხატება, პასუხისმგებელი სწორედ რუსეთია.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ მკაფიოდ გაესვა ხაზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და უფრო მეტად განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი. მადლობას ვუხდი სახელმწიფო უწყებებს – იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველას, ვინც ამ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებაში წვლილი შეიტანა, – აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2024 წლის 9 აპრილს გამოიტანა გადაწყვეტილება მეოთხე სახელმწიფოთაშორის საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (IV)“, რომელიც ეხება 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, აღმინისტრაციული საზღვრების „ბორდერიზაციას“.

პალატის გადაწყვეტილებაში, საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (IV)“ (საჩივარი №39611/18) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შემდეგი მუხლების დარღვევას: მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება), მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მე-5 §1 მუხლი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), 1 ოქმის 1 (საკუთრების დაცვა) და მე-2 (განათლების უფლება) მუხლები და მე-4 ოქმის მეორე მუხლი (მიმოსვლის თავისუფლება).

პრემიერი გერმანიას ეწვია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ოფიციალური ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრა.

12 აპრილს გერმანიის ფედერალურ კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება. ირაკლი კობახიძეს გერმანიის ფედერალური კანცლერი ოლაფ შოლცი უმასპინძლებს.

დაგეგმილია შეხვედრები პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში, რის შემდეგაც ირაკლი კობახიძე და ოლაფ შოლცი ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მეთაური შეხვდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ფრანკ ვალტერ შტაინმაიერს და გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტს, ბერბელ ბასს. საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ხელმძღვანელობს, ვიცე-პრემიერი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი არიან.

შალვა პაპუაშვილი: ტყუილი მარცხდება მხოლოდ მართალი სიტყვით

სიტყვას და სიმართლეს აქვს ყველაზე დიდი ძალა და ხვდებიან, რომ მათი ტყუილი მარცხდება მართალი სიტყვით და ამ მართალ სიტყვას ებრძვიან, ეს ეპიკური ბრძოლაა, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, **შალვა პაპუაშვილმა** გამჭვირვალობის კანონთან დაკავშირებით გაკრული ბანერების დაზიანებაზე საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, გარკვეული პირები ცდილობენ, რომ მართალ სიტყვას ებძროლონ, რომელსაც საზოგადოებაზე დიდი გავლენა აქვს.

„არ არის ისტორიაში პირველად, როდესაც მართალ სიტყვას ებრძვიან. ჩვენი საზოგადოება ახლა სწორედ ამას ხედავს. ერთ მუშტად შეიკრნენ ის ძალები, ვინც დეზინფორმაციით, ტყუილით ებრძვის მართალ სიტყვას. სულ ახლახან იყო, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, „ფაქტჩეკი“, რომელიც მილიონობით უცხოურ დაფინანსებას იღებს ვითომ ტყუილის გადასამოწმებლად, თავად სოციალურ მედიაში ასპონსორებს ტყუილს. ამ დონეზეც კი არის მისული ასეთი საქმიანობა. მართალ სიტყვას ებრძვიან, რადგან სიმართლეს ყველაზე დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე“...

ირაკლი ქადაგიშვილი: ქართული პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში პირველად არის, როდესაც მმართველ პარტიას აქვს ესოდენ მაღალი რეიტინგი

„ქართული პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში პირველად არის, როდესაც მმართველ პარტიას ამდენი ხნის განმავლობაში ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში აქვს ესოდენ მაღალი რეიტინგი ანუ ამსოლუტური უპირატესობა გააჩნია. ნათელია, რომ ასეთი სუსტი და ასეთი დაქსაქსული ოპოზიცია ჯერ არასდროს არ ყოფილა და ესეც მათი პოლიტიკური ქცევის შედეგია. ფაქტობრივად, ყველა კვლევა - სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციის თუ სხვადასხვა დაკვეთით ჩატარებული, ერთ სურათს მკაფიოდ გამოხატავს, რომ მმართველ პარტიას, „ქართულ ოცნებას“ აქვს გადამწყვეტი უპირატესობა“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა.

ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის კვლევის საერთაშორისო ცენტრის „გორბის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, პარლამენტის არჩევნები ამ კვირას რომ ტარდებოდეს, ალოკაციის შემდეგ „ქართული ოცნება“ ხმათა 60.4%-ს მიიღებდა.

არჩილ თალაკვაძე: ლოზუნგებით ვერ გაირკვევა, ვის მხარეს არის სიმართლე

მზად ვართ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტთან დაკავშირებით პარტნიორებთან საგნობრივი დისკუსიისთვის, მაგრამ ლოზუნგებით ვერ გაირკვევა, ვის მხარეს არის სიმართლე, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

„გახსოვთ, მაშინაც მთელი მსოფლიოდან გაერთიანებული იყვნენ ჩვენი ოპონენტები, კრიტიკოსები, ლობისტები, ყველა აკეთებდა განცხადებებს, თითქოს საქართველო დაშორდა ევროპულ ორბიტას, ეკონომიკა ჩამოიშალა და თითქოს საქართველო აღარ არის დღის წესრიგში. ევროსასამართლოში ყველა საქმე ჩვენ მოვიგეთ რუსეთის წინააღმდეგ. აქ მიღებული იყო გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ აჩვენებს, რომ ის, რასაც ჩვენ დღეს გვამბრალებენ, არის სიცრუე და ამ კანონის საწინააღმდეგო კამპანიის შესაფუთად გამოიყენება. როგორც ჩანს, ვიღაცამ უთხრა, რომ რუსეთის იქით არაფერზე ილაპარაკონ და არაფერი ახსენონ. საქართველოში მიღწეულ წარმატებებსაც კი რუსულს ეძახის ეს ხალხი. თურმე ევროპული წარმატებები რუსულია, ეკონომიკური ზრდა რუსულია, მშვიდობა რომ გვაქვს ათი წელია და დავიცავით მთელი ძალით, პრინციპულად, ეგეც, ყველაფერი თურმე რუსულია, რაც ამ ქვეყანამ კარგი გააკეთა და რასაც მივაღწიეთ. ნატოს გენერალურმა მდივანმა და ევროკომისარმა ბრიუსელიდან თქვეს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით მიდის“, – განაცხადა **არჩილ თალაკვაძემ.**

* * *

„ევროკავშირის ათიდან რვა მოქალაქე როცა ამბობს, რომ უცხოური გავლენა, ჩარევა მათ დემოკრატიაში არის პრობლემა და თავის მთავრობებს, ევროკავშირის ხელმძღვანელობას მოუწოდებენ, იმოქმედეთ, რომ აქედან დავიცვათ ჩვენი საზოგადოებაო, ეს რას ნიშნავს? ჩვენი ოპონენტები ვისი სახელით გველაპარაკებიან? საქართველოს მოქალაქეებმა თქვეს, ეს არ არის ჩვენთან პრობლემაო? ჩვენი კანონპროექტი გვეხმარება ნებისმიერი გარე ჩარევის, მათ შორის რუსეთის შესაძლო გარე ჩარევის პრევენციაში, დავხურეთ ეს თემა.

რეალურად, ევროდირექტივა ამბობს, რომ ევროკავშირის მასშტაბით, დანარჩენმა ქვეყნებმაც უნდა მიიღონ ეს კანონმდებლობა და ამბობს, რომ თვითონ უნდა დაარეგულირონ გარკვეულ ფარგლებში, რა მექანიზმები სჭირდებათ, რომ გარე ჩარევისგან დაიცვან თავიანთი საზოგადოება და დემოკრატია.

ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია, მოლდოვა, უკრაინა – ამ ქვეყნებსაც ეხებათ ის კანონმდებლობა, რომელიც ევროკავშირში აქვთ მიღებული. ჩვენი ოპონენტები რომ ამბობენ, იქ რუსეთია ჩაწერილიო, მხოლოდ რუსეთი კი არ არის ჩაწერილი, ევროკავშირის წევრების გარდა, ყველას ეხება ის კანონმდებლობა, ისევე როგორც ჩვენს შემთხვევაში. ამიტომ ვამბობთ, გვითხრათ ერთი პუნქტი, სადაც ქართული კანონპროექტი იმეორებს რუსულს“, – განაცხადა **არჩილ თალაკვაძემ.**

არჩილ თალაკვაძის განმარტებით, ქართული კანონმდებლობა ეხება ყველას, ვინც შეიძლება, პოტენციურად ჩაერიოს საქართველოს დემოკრატიაში.

გურამ მაჭარაშვილი: ეს კანონი ბოლომდე უნდა მივიღოთ!

ყველას ვურჩევთ, ქართულ საზოგადოებას შეურაცხყოფას ნუ მიაყენებენ, რომელმაც კანონპროექტი წაიკითხა, თუ ცვლილებები თავად არ აქვთ წაკითხული, წაიკითხონ და ერთი წინადადება მაინც თქვან, რაც რუსულ კანონშია და არა ევროპულში, – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ წევრმა, **გურამ მაჭარაშვილმა** საქართველოს „პირველ არხს“ განუცხადა.

მაჭარაშვილის თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ შინაარსში არ შევლენ, რადგან იციან, რომ წააგებენ და ზედაპირზე ტივტივი უნდათ.

„გამჭვირვალობა უნდა იყოს იმ 70 მილიონ ლარზე, რაც შემოსულია და რაც შემოვა. უცხოური შავი ფული საქართველოში რატომ უნდა გათეთრდეს? გამჭვირვალობა დაიდოს, სად იხარჯება უცხოური შავი ფული საქართველოში. ეს კანონი ბოლომდე უნდა მივიღოთ. საქართველოში ამერიკის ელჩმა თქვა, რომ სხვაობაა ამერიკულ და ქართულ ვერსიებს შორის. მაშინ, ყველა იმ მკაცრ მუხლს დავაინიცირებ, რაც ამერიკულ ვერსიაშია. ამ ინიცირებით აუცილებლად შევალ. „ფარას“ წყალობით გავიგეთ, რომ საქართველოს გაშავებისთვის საკაშვილის ოჯახმა მილიონები გადაიხადა. საქართველოს მოქალაქე თავის ქვეყანაში შავი ფულის მოძრაობას ამერიკული „ფარას“ საშუალებით რატომ უნდა იგებდეს? დაე, იყოს ქართული“...

გორბის კვლევა არის გაკვეთილი ოპოზიციისთვის!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, „გორბის“ მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს იმას, რაც არის რეალობა.

„მგონი, ოპოზიცია თავადაც კარგად ხვდება, სად იმყოფება, მარტივი მიზეზის გამო – ისინი არ დგანან საქართველოს მხარეს, ხოლო ვინც დგას საქართველოს მხარეს, მას აქვს ქართველი ხალხის მხარდაჭერა. ეს არის გაკვეთილი მათთვის. ყოველ ჯერზე, როდესაც არ დადგებიან ქართველი ხალხის მხარეს, მიიღებენ ასეთ ვერდიქტს“.

ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით „გორბის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, პარლამენტის არჩევნები ამ კვირას რომ ტარდებოდეს, ალოკაციის შემდეგ „ქართული ოცნება“ ხმათა 60.4 პროცენტს მიიღებდა.

კანონის მიღებას კი არა, სუნთქვასაც გვიშლიან!

დავით ქართველიშვილი: ამერიკის პრესსპიკერს ვურჩევ, წაიკითხოს საქართველოს ისტორია — ამ იმპერიების დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა, უბრალოდ, გაქრა, ხოლო საქართველო დღემდე არსებობს!..

ემუქრება თუ არა საქართველოს ამერიკის მხრიდან გამჭვირვალობის კანონის მიღების შემდეგ სანქციები? პრეზიდენტ ბაიდენის გუნდმა „ქართული ოცნება“ შაქტობრივად, გააფრთხილა, თუ ამ კანონს მიიღებენ, ამას ვაშინგტონის მოქმედებები მოჰყვება.

სახელმწიფო დეპარტამენტი კანონის განხილვის პარალელურად, მეოთხე განცხადებას აკეთებს და არ გამორიცხავს, რომ ამ კანონის მიღების შემთხვევაში, ვაშინგტონმა სანქციების ბერკეტი გამოიყენოს.

მმართველ გუნდში კი მიიჩნევენ, რომ ამერიკიდან, შაქტობრივად, მუქარა მოდის. მათი თქმით, ეს შტატების არაპარტნიორული დამოკიდებულებაა, ხოლო მსგავსი განცხადებები მხოლოდ რადიკალების წისქვილზე ასხამს წყალს. თუმცა „ოცნებაში“ მაინც მიიჩნევენ, რომ ამერიკიდან სანქციები ნაკლებად არის მოსალოდნელი.

შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი **მეთიუ მილერი** ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ ამბობს, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს თუ მიიღებენ, ის ზიანს მიაყენებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს“ .

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა მდინარაძე** ამბობს, სახელმწიფო დეპარტამენტის უმკაცრესი განცხადების მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან სანქციების მოლოდინი არა აქვს.

„ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ ეს მწვავე განცხადება ისეთი წარმოუდგენელი უსამართლობაა, როგორიც თავის დროზე კანდიდატის სტატუსის არმოცემა იყო.

„ნამდვილად არ ველოდები არანაირ სანქციას, იმიტომ, რომ შეუძლებელია სანქცია იმ ქვეყნიდან, რომელ ქვეყანაშიც უფრო მკაცრი კანონი მოქმედებს ამ მიმართულებით, წარმოუდგენელია და თუ ეს ვიღაცამ თეორიულად მაინც განიხილა, ეს იქნება წარმოუდგენელი უსამართლობა, იმიტომ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ამ მიმართულებით კიდევ უფრო მკაცრი კანონია, იგივესთვის სხვას სანქცია დაუწესოს... კანონპროექტი რამდენიმე დღეა უკვე დაინიცირებულია და სიტყვა რუსული უკვე გაქრა კომუნიკაციაში, მაგრამ ვისმენთ არა კრიტიკას, არამედ მწვავე კრიტიკას, რაც ჩვენი შეფასებით წარმოუდგენელი უსამართლობაა, ისეთი უსამართლობა, როგორიც თავის დროზე კანდიდატის სტატუსის არმოცემა იყო“, – განაცხადა **მდინარაძემ**.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** ამბობს, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის განცხადება საკმაოდ ხისტი და მკაცრია, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, ამერიკა საქართველოსთან დაკავშირებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმას აპირებს.

არ არის გამორიცხული, ეს „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების და მათი ოჯახის წევრების დასანქცირებას გულისხმობდეს.

„სამწუხარო ჩემთვის ის არის, რომ აგერ, სომხეთმა აირჩია საქართველოს გზა და ის ცდილობს დასავლეთთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამით კი „ოცნება“ ძალიან რისკავს და რად უღირთ ეს კანონი, მართლა არ მესმის. რაც შეეხება მიძინა ივანიშვილის დასანქცირებას, არ ვიცი ასე შორს თუ წავიდა საქმე, მაშინ იმაზე მძიმე იქნება ჩვენი ურთიერთობა ამერიკასთან, როგორიც არასდროს ყოფილა. ალბათ, უფრო ჯერ პროცესების განვითარებას დაელოდებიან. კანონად არ არის ქცეული და წინასწარ მაინც რთულია ამაზე საუბარი. უბრალოდ, მათი განცხადება წინაზე შედარებით მკაცრია და გარკვეული ნაბიჯების გადადგმას რომ აპირებენ, ეს განცხადებებიდან ჩანს“, – ამბობს **ზაქარეიშვილი**.

* * *

ანლიტიკოსი და „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** კი მიიჩნევს, რომ როდესაც შენი პარტნიორი გეუბნება, რომ კანონის შინაარსი არ აინტერესებს და უპირობოდ უნდა შეასრულო მათი დირექტივები, მაშინ არც საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს სურვილი, დასავლელი ჩინოვნიკის განცხადების შინაარსი გაიზიაროს. ქართველიშვილი for.ge-სთან ამბობს, რომ სიმართლე საქართველოსთვის ყოველთვის იმარჯვებდა და არაერთ იმპერიას ჰქონია სურვილი, ჩვენი ხალხის თავისუფლება შეეზღუდა, თუმცა ეს არავის გამოუვიდა.

„ეს არის ჩვეულებრივი მუქარა და თითის ქნევა, რომელიც იმპერიალისტებს ახასიათებთ. ქართველი ერისთვის მსგავსი პირობების და ულტიმატუმების წაყენება ყველაზე ცუდად თავად ამ იმპერიებისთვის დასრულებულა. ამერიკის პრესსპიკერს ვურჩევ, წაიკითხოს საქართველოს ისტორია და ნახოს ჩვენმა ხალხმა თავისუფლება რამხელა მსხვერპლის ფასად მოიპოვა. ამ იმპერიების დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა, უბრალოდ, დედამიწიდან არის გამქრალი და საქართველო დღემდე არსებობს. მით უმეტეს დღეს, როცა 35 წელი შესრულდა 9 აპრილიდან, როდესაც ჩვენი ქვეყანა მორიგი იმპერიიდან და ვასალობიდან გამოვიდა. ამიტომ იმ სპიკერს, ევროპარლამენტარს თუ ევროჩინოვნიკს, დასავლელ მიუროკრატს ვურჩევ, საქართველოზე რაიმე მუქარანარევ საუბარს როცა დაიწყებს, მანამდე ჩვენი ქვეყნის სვლა თავისუფლებისკენ გაიაზრონ. ერთადერთი, ვინც საქართველოსთან არასწორი მოქმედებებით წაადგებს, იქნება ის მხარე, რომელიც დღეს რაღაცით გვემუქრება. ჯერ კიდევ აქვთ შანსი, რომ სამხრეთ კავკასიაში, ძლიერი დამოუკიდებელი პარტნიორი შეინარჩუნონ. ეს შანსი მსგავსი განცხადებებით ხელიდან ეცლებათ, რადგან ჩვენს საზოგადოებაში ანტიიმპერიალისტურ განწყობებს აღვივებენ. თუ ჩვენი პარტნიორი ხარ, მოდი, მუქარას თავი დაანებე და გვეურთიერთე, როგორც პარტნიორს და არა როგორც შენს ვასალ ქვეყანას“, – ამბობს **ქართველიშვილი**.

მისივე თქმით, რთულია წინასწარ იმის პროგნოზი, ამერიკა თავის ურთიერთობას რა დონეზე გააფუჭებს საქართველოსთან. ჩვენი ხელისუფლების მიზნებში ამერიკასთან ურთიერთობის გაფუჭება ნამდვილად არ შედის, თუმცა იგივეს მათი მხრიდან ვერ ვხედავთ.

„ჩვენი ხელისუფლების მიზნებში საქართველოს დამოუკიდებლობა, ქვეყნის სუვერენიტეტის გაძლიერება შედის. ქვეყანაში მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებაა მთავარი მიზანი. თუ ეს არ შედის ამერიკის გეგმებში, მაშინ რა გაეწყობა, საქართველო თავის გზას ვერ გადაუხვევს და გინდა დაგვასანქცირონ და რაც უნდათ, ის ქნან. მსოფლიო ახალი წესწყობილებისკენ მიდის, სადაც საქართველოსაც მოეძებნება თავისი კუთვნილი საპატიო ადგილი. საქართველომ საუკუნეების განმავლობაში უფრო სერიოზულ წნეხს, ოკუპაციას, ანექსიას, იმპერიალისტურ დამოკიდებულებას გაუძლო, მიუხედავად ამისა, ვარსებობთ და ამ არსებობას გავაგრძელებთ“, – ამბობს **ქართველიშვილი**.

ლიკა ბერიკაშვილი

ახალგაზრდების მიერ შეთავაზებული ორი წინადადება კანონპროექტში იქნება გაზიარებული

საპარლამენტო უმრავლესობის, ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი მამუკა მდინარაძე და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, „ქართული ოცნების” ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმმართველობების ხელმძღვანელებს შეხვდნენ და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი გააცნეს.

როგორც მამუკა მდინარაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, სტუდენტების მიერ დასმულ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცა. მისივე თქმით, ახალგაზრდები დეტალურად იცნობენ როგორც „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, ასევე, უცხო ქვეყნების პრაქტიკასაც და მათ მიერ შეთავაზებული ორი წინადადება კანონპროექტში იქნება გაზიარებული.

„ძალიან საინტერესო შეხვედრა გქონდა და მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ არ ყოფილა საკითხი, რომელსაც არ შევეხეთ კანონპროექტთან, მის პრინციპებსა და საჭიროებასთან, ასევე, სხვა ქვეყნების გამოცდილებასთან დაკავშირებით. შეხვედრისას ბევრი კითხვა დაისვა. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ძალიან საინტერესო წინადადებები დააყენა, რაც გავიზიარე და უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ მოუფიქრებია ჩვენს არც ერთ ოპონენტს. პირველი საკითხი ეხება კანონპროექტის მე-8 პუნქტში სიტყვას „მინიშნება“, რომელიც შეიცვლება სიტყვა „ინფორმაციით“, რომ ვინმემ სპეკულაცია ვერ მოახერხოს. მეორე წინადადება შეეხებოდა დაფინანსებას, კერძოდ, ახალგაზრდული მიმართულებით შიდა დაფინანსებების, შიდა გრანტების გაზრდას. შემიძლია გითხრათ, რომ რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრს ჰქონდა მსგავს საკითხზე საუბარი ჩემთან და „ქართული ოცნების“ ლიდერებთან და ძალიან პოზიტიური ამბავია, რომ ახალგაზრდების აზრი ჩვენ საუბარს დაემთხვა. ეს შემოთავაზებაც უალტერნატივოა და ამასაც გავიზიარებთ.

ჩვენ ყველა საკითხზე დეტალურად ვისაუბრეთ. ერთი-ორი კრიტიკული შენიშვნაც იყო, მაგრამ ამაზეც ამომწურავი პასუხები გავეცით. ძალიან კარგი დისკუსია და აქტიურობაა მათი მხრიდან და შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ სტუდენტებს, მათი თვითმმართველობების ხელმძღვანელებს, ყველა კითხვაზე აბსოლუტურად ამომწურავი პასუხები აქვთ გაცემული“, – განაცხადა **მამუკა მდინარაძემ**.

ზოგიერთი დონორი ორგანიზაციის საშუალებით ქვეყანაში რადიკალიზმი ფინანსდება!

გიორგი მარგველაშვილის გამო

პახა კალაძემ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის მიერ გაკეთებული განცხადების შესახებ დასმულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ საზოგადოებამ კარგად დაინახა, თუ რას ემსახურებოდა ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული ტრენინგი.

„რადიკალიზმი არის ქვეყანაში. სხვათა შორის, დაფინანსებები, რაც მალულია და საზოგადოებამ არ იცის, იმ დონორებისგან მოდის, რომელთა საშუალებითაც ფინანსდება რადიკალიზმი, ექსტრემიზმი. რომ გვეუბნებოდნენ, მძიმე სენით დაავადებული ბავშვების მშობლებს ტრენინგებს ვუტარებთო, რეალურად, საზოგადოებამ დაინახა, რასთან დაკავშირებით ატარებდნენ ტრენინგს. ეს არის სამწუხარო რეალობა, რომლის გასაჯაროება არ უნდათ. პირველ რიგში, ეს პრობლემას უქმნის მათ „მამებს“, იმ დონორ ორგანიზაციებს“, – განაცხადა **პახა კალაძემ**.

„სამუშაო სიღარიბის დონე“ საქართველოში ისტორიულ მინიმუმზეა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) „სამუშაო სიღარიბის“ ინდექსი გამოაქვეყნა. მაჩვენებელი იკვლევს დასაქმებულებს შორის სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფ პირთა წილობრივ დონეს. ILO-ს შეფასებით, 2023 წელს საქართველოში სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა დასაქმებულთა 2,28%-ი იყო, რაც ახალი ისტორიული მინიმუმია. გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით 10 წელიწადში სამუშაო სიღარიბის დონე ორ-ნახევარჯერ არის შემცირებული, ხოლო 2012 წელთან შედარებით თითქმის სამ-ნახევარჯერ.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მაჩვენებლები 2000 წლიდან 2023 წლის ჩათვლით. ირკვევა რომ საქართველოში სამუშაო სიღარიბის მკვეთრი შემცირება 2012 წლიდან იწყება. 2000-2003 წლებში სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა საშუალოდ იყო დასაქმებულთა 11 %, ვითარება პრაქტიკულად არ შეცვლილა 2004-2012 წლებში, რა დროსაც საშუალოწლიური თვალსაზრისით ყოველი მეათე დასაქმებული სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა იყო.

სიტუაცია არსებითად შეიცვალა 2013-2023 წლებში. ამ პერიოდში სამუშაო სიღარიბის დონე საქართველოში საშუალოდ 3,3%-ს გაუთანაბრდა და შესაბამისად სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა საშუალოდ ყოველი ოცდამეათე დასაქმებული იყო.

ბოლო, ანუ 2023 წლის მონაცემებით სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა დასაქმებულთა 2,28%-ა, ანუ საშუალოდ ყოველი 44-ე პირი, რაც საქართველოს ახალი ისტორიული მინიმუმია.

აზიის ბანკის დამაიმედებელი პროგნოზები ჩვენს ეკონომიკაზე

საქართველოს ეკონომიკა 2024 წელს საშუალოდ გაიზრდება შემცირებული საგარეო მოთხოვნისა და სერვისების ზრდის შემცირების ფონზე, ხოლო 2025 წელს მეტი ზრდაა მოსალოდნელი, – ამის შესახებ აზიის განვითარების ბანკის ახალ ანგარიშშია ნათქვამი.

„საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლებში განუხრელად იზრდება. ყურადღების გამახვილება რეგიონულ თანამშრომლობაზე, კერძო სექტორის ხელშეწყობა, ადამიანური კაპიტალის განვითარება და უფრო მწვანე და კლიმატგამძლე ეკონომიკაზე გადასასვლელად საჭირო პოლიტიკის გატარება ქვეყანაში შექმნის დოვლათს და მოსახლეობის სოციალურ დაცვას გააძლიერებს“, – **განაცხადა** ADB-ის მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორმა საქართველოში, ლესლი **ბეარმან ლამმა.**

აზიის განვითარების ბანკის პროგნოზით, მიმდინარე წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 5%-ით გაიზრდება, ხოლო 2025 წელს – 5.5%-ით, რაც ტურიზმისა და ინვესტიციების ზრდის ფონზე გახდება შესაძლებელი.

ამასთან, როგორც განახლებულ ანგარიშში წერია, აზიის განვითარების ბანკი 2024 წელს ინფლაციის მცირედით, 3.5%-მდე ზრდას ელოდება, ხოლო 2025 წელს – 4%-მდე, სამომხმარებლო ფასების მცირედი ზრდის ფონზე. ფისკალური დეფიციტი დააკმაყოფილებს მთავრობის ფისკალურ წესს და 2024 და 2025 წლებში მშპ-ის 3%-ს არ აცდება, რაც განპირობებულია საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით, საგადასახადო დანახარჯების რაციონალიზაციითა და საგარეო ვალის გონივრული მართვით.

სოფლის მეურნეობის ზრდა 2024 წელს 0.5%-მდე შემცირდება, მომავალ წელს კი 1.1%-მდე გაიზრდება მთავრობის მხარდაჭერით სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისა და დაზღვევისა და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების შედეგად.

აზიის განვითარების პროგნოზის მიხედვით, იმპორტი შედარებით დაბალი ტემპით გაიზრდება და 2024 წელს ზრდა 6.1%-ი იქნება, შიდა ზრდის შენელებისა და ავტომობილების შემცირებული რეექსპორტის ხარჯზე, ხოლო 2025 წელს – 11.1%-მდე გაიზრდება. პროგნოზის მიხედვით, მოხდება ფულადი გადარიცხვების სტაბილიზება, დაახლოებით, 3 მილიარდ აშშ დოლარამდე მომდევნო 2 წლის განმავლობაში, რადგან რუს მიგრანტებთან დაკავშირებული გარე შემოდინება შენელდება და საპირისპირო მიმართულებით შემობრუნდება, რამაც შესაძლოა, დაღმავალი ზეწოლა მოახდინოს ლარზე.

ანგარიშში ასევე წერია, რომ საქართველოს მოსახლეობა ბერდება მოსახლეობის ჩანაცვლების დონეზე დაბალი შობადობის, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმჯობესებისა და შრომისუნარიანი ასაკის ადამიანების ემიგრაციის გამო. ADB-ში აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს შეუძლია, გაზარდოს დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერება უნარ-ჩვევების განვითარებისა და ტექნოლოგიების გამოყენების ზრდით.



გამარჯვებული „დიდგორელები“

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გრიგოლ გიორგაძე და თავდაცვის უწყების წარმომადგენლები საგანმანათლებლო პროექტის – „დიდგორელი“ დახურვის ღონისძიებას დაესწრნენ.

გრიგოლ გიორგაძემ პროექტის მონაწილე წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სიტყვით მიმართა.

მან ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო პროექტებისა და ახალგაზრდა თაობაში შემეცნებითი უნარების განვითარების მნიშვნელობაზე. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პროექტის გამარჯვებულს სამახსოვრო საჩუქარიც გადასცა. საგანმანათლებლო პროექტი „დიდგორელი“ 2019 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს მოსწავლე-ახალგაზრდობის საქართველოს ისტორიით დაინტერესებას, ასევე მიმართულია ახალგაზრდა თაობის მოტივაციისა და ცნობიერების ამაღლებისკენ.

პანდემიის შემდგომმა მაღალინფლაციურმა გარემომ გლობალურად ხელფასების ზრდა გამოიწვია და არც რეგიონის ქვეყნებია გამონაკლისი. საქართველო მეზობელ ქვეყნებს, საშუალო ანაზღაურების მიხედვით, გაუტოლდა და ზოგ შემთხვევაში გაასწრო კიდეც. თუმცა ერთია ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები და მეორეა არსებული სინამდვილე და მედიანური ხელფასი.

საქართველოში საშუალო ხელფასი სწრაფად „იზრდება“, თუმცა ციფრები სინამდვილეს აცდენილია

2023 წელს, 2019 წელთან შედარებით, საშუალო თვიური ხელფასი (ეროვნულ ვალუტაში) საქართველოში – 64.5%-ით, სომხეთში – 47.8%-ით, ხოლო ყაზახეთში 93.1%-ით გაიზარდა. ამასთან, აშშ დოლარში ხელფასების ზრდის კიდევ უფრო მაღალი ტემპი დადასტურდა საქართველოსა და სომხეთში, რადგან ამ პერიოდში ქართული ლარი და სომხური დრამი აშშ დოლარის მიმართ მნიშვნელოვნად გამყარდა. ყაზახეთის ეროვნული ვალუტა (ტენგე), ლარისა და დრამისგან განსხვავებით, გაუფასურდა და შესაბამისად, ხელფასები აშშ დოლარში უფრო ნაკლებად გაიზარდა (თუმცა, ყაზახეთში ხელფასის დონე სომხეთსა და საქართველოზე მაღალია).

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საშუალო ხელფასი ქვეყანაში 2000 ლარს აჭარბებს. 2023 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 15.3 პროცენტით (270.9 ლარით) გაიზარდა და 2 044.5 ლარი შეადგინა.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ საშუალო ხელფასის მაჩვენებელი მედიანურთან საკმაოდ განსხვავებულია. ცდომილება რომ ძალიან დიდია, ამაზე ეკონომისტები პირდაპირ საუბრობენ. ერთადერთი გამოსავალია მეთოდოლოგიის შეცვლა ან სწორება მედიანურ ხელფასზე, რომელიც რეალობასთან მეტ-ნაკლებად ახლოსაა. როგორც ცნობილია, ტოპ-მენეჯერების ხელფასი საქართველოში 10 000 ლარის ფარგლებშია, ზოგ შემთხვევაში, მეტიც. ასეთ ფონზე საშუალო ხელფასით მანიპულირება შრომის ბაზარზე დიდ უხერხულობას ქმნის. მით უმეტეს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მიზერული შემოსავლის გამო, იძულებულნი არიან, ქვეყანა დატოვონ.

როგორც აღმოჩნდა, საშუალო ხელფასის სიდიდეზე გავლენა მიგრაციამაც მოახდინა. კერძოდ, დაბალანაზღაურებადი მოქალაქეების გადინებამ. ცხადია, მათი ერთიანი სახელფასო სისტემიდან მათი ამოვარდნა საბოლოოდ საშუალო ხელფასის მაჩვენებლებზე აისახება.

სწორედ მედიანური ხელფასზე აკეთებს აქცენტს სტატისტიკოსი **გივი მომცელიძე**, რომლის შეფასებითაც, საშუალო ხელფასის სტანდარტის გადახედვა აუცილებელია. გარდა ამისა, შექმნილ ვითარებაში ერთ-ერთი გამოსავალია მინიმალური სახელფასო ზღვარის განსაზღვრა, რაც სტატისტიკურ მონაცემებშიც მეტ სიცხადეს შეიტანს.

„საშუალო ხელფასის მონაცემები დღევანდელ მეთოდიკაში ჯდება, მაგრამ ცალკე პრობლემაა, რომ ასე არ უნდა ხდებოდეს მისი გაანგარიშება და არ შეგვყავდეს მოსახლეობა შეცდომაში. ვიღაცებს, ძალიან ცოტა ადამიანს, ძალიან მაღალი ანაზღაურება აქვს იმ დროს, როცა დაახლოებით 1,4 მილიონი დასაქმებული ბევრად ნაკლებ ხელფასს იღებს.

მედიანური ხელფასია საინტერესო, რომელიც საშუალო მაჩვენებელს საკმაოდ დაშორებულია და ამაზე ბევრი შეიძლება ვიდავოთ. სწორედ მედიანურ ხელფასს მოკრძალებულად, წელიწადში ერთხელ აქვეყნებს სტატისტიკის სამსახური და მისი მაჩვენებლები საშუალო ხელფასის სტატისტიკას აცდენილია. რეალურად 1100 ლარზე მეტი არ არის და გამოდის, რომ საშუალო მაჩვენებლის ნახევარია.

ახლა როგორც ითვლიან საშუალო ხელფასს, ეს მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს. მილიონზე მეტ დასაქმებულ ადამიანს ეუბნებიან, რომ ქვეყანაში საშუალო ანაზღაურება 2000 ლარია, როცა დიდი უმეტესობა 1000 ლარსაც ვერ იღებს თვეში. ასე რომ იყოს, ადამიანები ქვეყნიდან არ გაიქცეოდნენ, თვეში 1500 ლარის შემთხვევაშიც დარჩებოდნენ საქართველოში, მაგრამ ეს შემოსავალიც არა აქვთ. მინიმალური ხელფასის სტანდარტი მცირედით მაინც შეცვლიდა მოცემულობას, ვფიქრობ, დროულად უნდა გადაიდგას ამ მიმართულებით ნაბიჯები“, – აღნიშნა **მომცელიძემ.**

არსებულ პრობლემებზე ხშირად უწევთ საუბარი საკანონმდებლო ორგანოში. საარჩევნო წელს სიღარიბის და ხელფასების თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. „ხალხის ძალის“ საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანმა **ეკა სეფაშვილმა** უპასუხა კითხვას, თუ რას აკეთებს მმართველი გუნდი პრობლემების გადასაჭრელად.

„უმუშევრობა, სიღარიბე, დაბალი ხელფასები, იძულებითი მიგრაცია – ეს მემკვიდრეობით მიღებული პრობლემებია, რომელთა მოგვარებასაც ვცდილობთ და საკმაოდ წარმატებითაც გამოგვდის. უმუშევრობა განახევრებულია, სიღარიბე განახევრებულია, ბავშვთა დახმარებისთვის 600 მილიონია გამოყოფილი, მაშინ, როცა „ნაცმოძრაობის“ პერიოდში ნული ლარი იყო. სოციალური ბიუჯეტი დღეს 5,6 მილიარდი ლარის ოდენობით გვაქვს, ხოლო „ნაცმოძრაობის“ დროს ის იყო 1,5 მილიარდი ლარის ოდენობით. ეს არის ის პროგრესი და რეალური რიცხვები, რომელთაც ხაზს ვუსვამთ. დიახ, თავს ვიწონებთ, რომ პრობლემებს ნაბიჯ-ნაბიჯ ვერევით და, როგორც ჩვენმა პრემიერმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, ჩვენი ამბიციური გეგმაა, რომ ქვეყანაში სიღარიბე გაუტოლდეს ნულს“, – აღნიშნა **ეკა სეფაშვილმა.**

ბექა დანელია

რატომ? რატომ? რატომ?

რობინ დანიგანიც გაწიწმატდა

ჩვენ შეშფოთებული ვართ, რომ კანონპროექტი საქართველოს ევროპული გზიდან გადაახვევინებს

აშშ-მა, როგორც საჯაროდ, ასევე მთავრობასთან პირად საუბრებში გამოთქვა სერიოზული შეშფოთება წარდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით, ჩვენ შეშფოთებული ვართ, რომ კანონპროექტი საქართველოს ევროპული გზიდან გადაახვევინებს და ასევე გვაწუხებს, რომ ის უარყოფით გავლენას იქონიებს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებების შესაძლებლობაზე, აკეთონ თავიანთი საქმე, დაეხმარონ ქართველ ხალხს ყოველდღიურად, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, **რობინ დანიგანმა** განაცხადა.

დანიგანის თქმით, იმ კანონთან დაკავშირებით, რომელიც მმართველმა გუნდმა წარადგინა, შეშფოთება მხოლოდ აშშ-ს არ აქვს.

„ეს შეშფოთება მხოლოდ აშშ-ს არ აქვს, ევროკავშირმა, ნატომ, ევროპულმა საბჭომ, ევროპარლამენტმა, მრავალმა ევროპულმა ქვეყანამ და პარლამენტმა, გაერომ ასევე გამოთქვეს სერიოზული შეშფოთება ამ კანონპროექტთან დაკავშირებით. მათ გამოთქვეს შეშფოთება, რომ ეს კანონპროექტი უარყოფითად აისახება საქართველოს ევროკავშირის წევრობის გზაზე. მინდა, ვისაუბრო იმ მნიშვნელოვან სამუშაოზე, რომელიც ჩვენი დახმარებით ხორციელდება. აშშ, პარტნიორობითა და მეგობრობით, მჭიდროდ მუშაობდა საქართველოს მთავრობებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რათა განეხორციელებინა ექვსი მილიარდი დოლარის დახმარება. რას ნიშნავს და როგორია ეს მეგობრობა და დახმარება? მეგობრები რასაც აკეთებენ, რომ მხარს უჭერენ მეგობრებს გაძლიერებაში, სწორედ ეს გავაკეთეთ. ჩვენმა დახმარებამ გააძლიერა საქართველოს თავდაცვითი ძალები, აღჭურვა საქართველოს სანაპირო დაცვა, რათა საქართველომ შეძლოს სუვერენული ტერიტორიის დაცვა და ასევე შეაკავოს შემდგომი აგრესია“, – განაცხადა ელჩმა.

რობინ დანიგანის განცხადებით, აშშ საქართველოს, მისი ხალხისა და მთავრობის გვერდით დგას და მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ გზას.

„ჩვენი დახმარების საშუალებით აშენდა საავადმყოფოები, სკოლები, ჩვენ მოვამზადეთ ექიმები, მასწავლებლები, გადაუდებელი დახმარების თანამშრომლები. ჩვენი დახმარების საშუალებით აშენდა დამოუკიდებელი საცხოვრებელი ცენტრები მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა დავხმარებოდით შშმ პირებს, რომ შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება. ჩვენმა დახმარებამ მცირე ფერმერებს და მცირე მეწარმეებს მისცა სესხები. ჩვენ მივეცით ახალგაზრდებს პროფესიული განათლება. ჩვენ გავხსენით ამერიკული ცენტრები, სადაც უფასოდ შეისწავლება ინგლისური ენა და უზრუნველვყოფთ წიგნებით. ჩვენ ათასობით ქართველს მივეცით აშშ-ის სასწავლო პროგრამებში სწავლის შესაძლებლობა. ეს ისაა, რასაც მეგობრები აკეთებენ. მეგობრები ეხმარებიან ქვეყანას გაძლიერებაში და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდასა და თავდაცვაში. მე ძალიან ამაყი ვარ, აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარებით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, რომელთაც ეს დახმარება განახორციელეს.

თუ გექნებათ კანონპროექტი, რომელზეც თქვენი დასავლელი პარტნიორები და მეგობრები გეუბნებიან, რომ სერიოზული შეშფოთება აქვთ, მაგრამ ოკუპანტი მიესალმება მას, არის თუ არა ეს სასიკეთო თქვენი ქვეყნისთვის, ამაზე უნდა დასვათ კითხვა.

მინდა, კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ ეს კანონპროექტი არ არის ამერიკული კანონმდებლობის მსგავსი. აშშ მიესალმება ჩვენი სამოქალაქო ორგანიზაციების როლს და იმას, როგორ ეხმარებიან ისინი ჩვენს ქვეყანას.

ჩვენი ქვეყანა კონკრეტულად მოითხოვს, რომ ორგანიზაციები და პირები, რომელთაც ფულს უხდიან უცხო ქვეყნის მთავრობისა და მათი ინტერესების ლობირებაში, იყვნენ დარეგისტრირებული. ეს ძალიან განსხვავებული კანონია. ამით, კიდევ ერთხელ მინდა, განვაცხადო, რომ აშშ საქართველოს, მისი ხალხისა და მთავრობის გვერდით დგას და მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ გზას“, – დასძინა დანიგანმა.

მოდი და ნუ დაუჯერებ, ბუნტისთავ ნაპრეზიდენტალს!

გიორგი მარგველაშვილი: პროტესტის ტალღა უნდა აგორდეს, მოხდეს რადიკალიზაცია

მუდმივად მიმაჩნდა, რომ ოპოზიციას აქვს ზედმეტი დამოკიდებულება ჩვენს ძალიან პატივსაცემ პარტნიორებზე, მათთან უნდა ვითანამშრომლოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტაქტიკურ ნაგიჯებში მივყვეთ, რასაც გვეტყვიან საელჩოებში, ამოსავალი არის არათანამშრომლობა და დაპირისპირება რეჟიმთან, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, **გიორგი მარგველაშვილმა** ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში განაცხადა.

მარგველაშვილის თქმით, პროტესტის ტალღა უნდა აგორდეს, შემდეგ ეს მუხტი შენარჩუნდეს და მოხდეს რადიკალიზაცია.

მისივე თქმით, რამდენადაც არ უნდა სცადონ საერთაშორისო პარტნიორებმა, რომ სიტუაცია დამშვიდდეს, ეს შეცდომა დაშვებული აღარ უნდა იყოს.

– თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა თავისუფალ საზოგადოებაში არასდროს ჩერდება, რადგან როგორც კი ამ გზიდან ცოტა მაინც გადაუხვევ, ჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც უნდათ, გახდნენ ტირანები. ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ამ მიმართულებით არიან ჩვენი დასავლელი პარტნიორები. მინდა, გავახსენო საზოგადოებას, ისეთი პრეზიდენტი, როგორიც იყო მამა ბუში, ჩავიდა უკრაინაში და უკრაინელ ხალხს უთხრა, რომ ისინი იყვნენ შეკრებილი ტოქსიკური ნაციონალიზმით. ეს ბუნდოვანება ჩვენთვის უნდა იყოს ნაკლებად მნიშვნელოვანი. რამდენადაც არ უნდა შეუშალონ ხელი, სიმშვიდისკენ, სიტუაციის დარბილებისკენ მოგვიწოდონ ჩვენმა პარტნიორებმა, რაც წლებია, გრძელდება, რა თქმა უნდა, კარგი განწყობით, ეს შეცდომა არ უნდა დავუშვათ. სხვათა შორის, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს მაშინ არ დაუშვიათ ეს შეცდომა. დღესაც რაც არ უნდა მცდელობა იყოს, ის ტალღა, რომელიც ასე წარმატებულად დაიწყო, ვერ დამშვიდება. ვერ მოხდება კიდევ ერთხელ ამ მუხტის დაგდება, რაც შარშან იყო. შარშან ვამბობდი, პოლიტიკური ალღოთი ვგრძნობდი, რომ ეს ასე არ უნდა დამთავრებულიყო, არ შეიძლებოდა ამის ასე დამშვიდება და დამთავრება, თუმცა დიდი მცდელობის შედეგად ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გადაგორდა. მე არ მოველოდი, რომ მუხტს ასე აქტიურად დაგდებდნენ და ეს ყველაფერი გადავიდოდა მშვიდ რეალობაში მაშინ, როცა ასე კარგად იყო აწეული.

შარშან რომ გამოვდიოდი ამ მოწოდებით, ოპოზიციის ლიდერები ისე რიხიანად დამესხნენ თავს, ახლა დიალოგის დროა, გასაგები იყო, რა ემოციაც ჰქონდა ბევრ მათგანს. დღეს ამ მუხტის დაგდების ტენდენცია თუ წავა, არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა. ეს არის პოლიტიკის ანაბანა. ჩვენი პარტნიორები შეეცდებიან, რომ, მოდით, სიმშვიდისკენ მოვუწოდოთო. ჩვენ ამ მუხტს ვიწყებთ და ვამთავრებთ არა საკომიტეტო მოსმენებში, არამედ ვამთავრებთ არჩევნებზე მოგებით ან არადა, ვაღრმავებთ საბჭოთა საქართველოს რეალობას. გამოსავალი არის მაქსიმალური რადიკალიზაცია და საკითხებისთვის თავის სახელის დარქმევა. ეს არ არის ყოველთვის ქუჩა, ეს არის არათანამშრომლობა. ჩვენ გვაქვს გამოცდილება ეროვნული მოძრაობის, რომლის მთავარი თემაც იყო არათანამშრომლობა და დაპირისპირება რეჟიმთან. ეს არის ამოსავალი. მე მუდმივად მიმაჩნდა, რომ ოპოზიციას აქვს ზედმეტი დამოკიდებულება ჩვენს ძალიან პატივსაცემ პარტნიორებზე, მათთან უნდა ვითანამშრომლოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტაქტიკურ ნაბიჯებში მათ უნდა მივყვეთ და იმას, რასაც გვეტყვიან საელჩოებში. ერთ მაგალითს გეტყვით, ერთ-ერთ საელჩოში დაიბარეს ოპოზიციის ლიდერები და ჩემს განცხადებებზე, რომ უნდა მოვახდინოთ პროცესის რადიკალიზაცია, მკვეთრად უთხრეს, მიუღებელია ეს პოზიციაო“... – განაცხადა **მარგველაშვილმა.**

„როცა საკითხი ეხება ევროპასა და რუსეთს შორის არჩევანს, პრეზიდენტი აქ ნეიტრალური ვერ იქნება!“

სალომე ზურაბიშვილი:

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 10 აპრილს ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის დელეგაციას უმასპინძლა.

მისი ინფორმაციით, ორგელიანების სასახლეში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა „საქართველო – ევროკავშირის ურთიერთობები, რუსული კანონის შედეგები და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები“ განიხილეს.

შეხვედრაზე ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელმა დელფინ პრონკმა საქართველოს პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ევროკავშირის ღირებულებების დაცვაში შეტანილი მნიშვნელოვანი პირადი წვლილისთვის და საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება მიულოცა.

საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებას, ევროკავშირის დელეგაციამ კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერა. თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა ევროკავშირს მადლობა გადაუხადა სადამკვირვებლო მისიის საქმიანობისათვის. დელეგაციის მხრიდან აღინიშნა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერებას.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ქართველი ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის პროცესი და ის იზიარებს ევროკავშირის ღირებულებებს. საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში უკვე მეორედ ინიცირებულ რუსულ კანონს ქვეყნისთვის გამოწვევა უწოდა და აღნიშნა, რომ კანონის მიღება გავლენას მოახდენს სამოქალაქო საზოგადოებაზე. ევროკავშირის ღირებულებების დამცველი სამოქალაქო სექტორის განადგურება კი, სწორედ რუსეთის მიზანს წარმოადგენს.

„როცა საკითხი ეხება ევროპასა და რუსეთს შორის არჩევანს, პრეზიდენტი აქ ნეიტრალური ვერ იქნება!“ – განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა ქალთა კვოტირების გაუქმების საკითხზე და აღნიშნა, რომ დღეს ქვეყანაში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული რიტორიკა მიუღებელია. შეხვედრაზე ისაუბრეს ასევე, შავი ზღვის უსაფრთხოებაზე. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ **შავი ზღვა არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ევროპის უსაფრთხოებაცაა და რუსეთი ცდილობს ის დაპირისპირების ზღვად აქციოს“,** – ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდია

1989 წლის 9 აპრილი

9 აპრილი გამოდგა არა მარტო მოვლენათა ერთგვარი ამაჩქარებელი, არამედ დიდ ისტორიულ გზაგასაყარზე ამავე მოვლენებისთვის მიმართულებისა და მძლავრი იმპულსის მომცემიც. საბჭოური სისტემის დემონტაჟიც სწორედ ამ დღიდან დაიწყო საქართველოში, სადაც მანამდე საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კომპარტია არსებობდა თავისი სტრუქტურებითა და გამართული იდეოლოგიური აპარატით.

იმპერიის პროპაგანდისტული საინფორმაციო საშუალებები სსრკ-ის მასშტაბით მაშინვე ამოქმედდნენ და მომხდარის გამო მთელი პასუხისმგელობა „ექსტრემისტ“ ლიდერებს დააკისრეს, 1989 წლის აპრილ-მაისში საბჭოთა კავშირში არც ერთი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესს არ შეესაბამებოდა მიტინგის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და დამრბევთა მხილება. გამონაკლისი არც **ანატოლი სობჩაკის** კომისია გახლდათ, რომელმაც, მართალია, პირველმა წამოსწია მიტინგის დარბევის მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენების საკითხი, თუმცა, სამხედროებთან ერთად, მომხდარზე პასუხისმგებლობა დააკისრა მიტინგის ორგანიზატორებსაც. 9 აპრილის აქციის დარბევა პირველ ეტაპზე, ფაქტობრივად, არავის დაუგმია, გარდა ბალტიისპირეთის განმთავისუფლებელი მოძრაობებისა, დასავლეთ უკრაინის ნაციონალისტებისა და რუსეთის „დემოკრატიული კავშირისა“ **ვალერია ნოვოდვორსკაიას** მეთაურობით. ერთადერთი ჟურნალისტი, რომელმაც ობიექტურად და სიღრმისეულად გამოიძია 9 აპრილის მოვლენები, **იყო ირაკლი გოცირიძე** (1923-2004), შემდგომში გაზეთ „იბერია სპექტრის“ რედაქტორი. ამ გამოძიების შედეგები მან გამოსცა წიგნში „იბერიის კვალდაკვალ“ (თბილისი, 1990). სსრკ-ის მასშტაბით დაახლოებით იგივე მოიმოქმედა რუსმა ჟურნალისტმა **იური როსტმა.**

9 აპრილზე დიდხანს დუმდნენ დასავლეთის ოფიციალური წარმოადგენლებიც – მსგავსი აქცია ხომ რეალურ საფრთხეს უქმნიდა სსრკ-ის მთლიანობას, ხოლო სსრკ-ის დეზინტეგრაცია მოცემულ ეტაპზე რომ აშშ-ის ინტერესებში არ შედიოდა, ეს აღიარა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მრჩეველმა უშიშროების საკითხებში **ბრენტ სკოუკროფტმა** ინტერვიუში, რომელიც მისცა შვეიცარიულ გაზეთ „ნოიეციურხერ ცაიტუნგს“, 1996 წლის სექტემბერში. როგორც ირკვევა, თეთრ სახლში ერჩიათ პროცესები სსრკ-ის დაშლის გარეშე წარმართულიყო, რათა ამით შენარჩუნებულიყო ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და საბაზრო-სავალუტო სივრცე. ვაშინგტონში, იმავდროულად, ჩინებულად იცოდნენ ერთი რამ: **თვით „პერესტროიკის“ დაწყება უკვე იყო სსრკ-ის, როგორც ზესახელმწიფოს მრავალმხრივი განკროტირების უმთავრესი სიმპტომი და ეს განკროტირება მოიცავდა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, სამხედრო ტექნოლოგიების სფეროს, ეკონომიკას, ფინანსებს. ყოველივე ამას დემორალიზაციის უცილო ნიშნებიც ახლდა თან. უკურნებელი სენით დაავადებული ეს კოლოსი, თუნდაც თანამეგობრობად ან ერთგვარ კონფედერაციად გარდაქმნილი, უკვე ვეღარ იქნებოდა აშშ-ის, როგორც ერთადერთი ზესახელმწიფოს, კონკურენტი მსოფლიო არენაზე.**

ასევე საინტერესოა ამერიკელების უშუალო რეაქცია თბილისის ამბებზე. ამის შესახებ მოკლედაა მოთხრობილი პრეზიდენტ გ. კლინტონის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის მოადგილის, **სტრობ ტალბოტის** და **მაიკლ მეშლოსის წიგნში „უმაღლეს დონეზე“,** რომელიც ეძღვნება ცივი ომის დასასრულს. როდესაც თეთრ სახლში მისულა ინფორმაცია თბილისის დარბევის შესახებ, პრეზიდენტ ბუშსა და მის გარემოცვას გადაუწყვეტიათ, არ გამოეხატათ არანაირი პოზიცია. ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა ზემოთ უკვე ნახსენებ გ. სკოუკროფტის თვალსაზრისი, რომ ამ საკითხზე რეაგირებას, შესაძლოა, ზიანი მიეყენებინა გორბაჩოვისთვის. „ამერიკის ხმის“ დირექტორმა მიიღო მკაცრი მითითება, თავი შეეკავებინა რაიმე შეფასებისგან, რათა ამის ზეგავლენა არ მოეხდინა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე. ამის შემდეგ ე. შევარდნაძეს მადლობაც კი გადაუხდია ბუშისა და ბეიკერისათვის, რომ ისინი „გაგებით მოეკიდნენ“ მისი და გორბაჩოვის დილემას. ამავე დროს, ტალბოტი და ბეშლოსი უკმაყოფილებას ვერ მალავენ იმდროინდელი ვიცე-პრეზიდენტის, დენ კუეილის საქციელის გამო, რომელსაც შორეულ აღმოსავლეთში ვიზიტისას „უპასუხისმგებლოდ“ გაუმეორებია ქართულ პრესაში გავრცელებული ვერსია, თითქოსდა საბჭოთა არმიამ მომწამვლელი გაზი გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ.

ანატოლი სობჩაკი

სტრობ ტალბოტთან და მაიკლ ბეშლოსთან კიდევ ერთ გაუგებრობას თუ ფალსიფიკაციას ვაწყდებით: ზვიად გამსახურდიამ, დამოუკიდებლობისთვის ცეცხლის დიდმა დამგზნებელმა (გამოყენებულია სიტვა Firedrand, რაც პირდაპირ და ზუსტად არ მიგვანიშნებს, რა კონოტაციითაა ის ნახმარი – ანუ გულებში ცეცხლის აგზნება იგულისხმება, თუ – გარე სამყაროში, კ. გ.) და საქართველოს ყველაზე ცნობილი მწერლის შვილმა თითქოს პრეზიდენტი ბუში დაადანაშაულა, რომ მან ფაუსტური პაქტი დადო გორბაჩოვთან, თვალები დახუჭა, საბჭოელთა მხრიდან დათმობების სანაცვლოდ, სასტიკ ქმედებებზე რესპუბლიკების დასათრგუნად. მსგავსი დადანაშაულება, მინიშნების დონეზეც კი, 9 აპრილამდე ზვიად გამსახურდიას არც ერთ გამოსვლაში არ ყოფილა. 9 აპრილის ღამის შემდეგ კი გაუგებარია, როგორ უნდა გაეკეთებინა განცხადება პატიმრობაში მყოფს. როგორც ჩანს, ტალბოტმა და ბეშლოსმა არც კი იცოდნენ, რომ ზვიადი აქციების სამ ლიდერთან ერთად თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა პატიმრობაში. შემდეგ ავტორები წერენ, რომ გორბაჩოვმა ეროვნებით ქართველი შევარდნაძე გაგზავნა თავის მშობლიურ საქართველოში სიტუაციის დასაწყნარებლად, რომელმაც თანამემამულეებს უთხრა: **„თქვენ აღარ ხართ ის ხალხი, გუშინ რომ იყავით. მაგრამ მეც შევიცვალე“.**


იური როსტი

თუმცა, როგორც კონგრესში, ისე სენატში იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც საკითხს თეთრი სახლის ადმინისტრაციისგან და სახელმწიფო დეპარტამენტისგან განსხვავებულად ხედავდნენ. სენატორმა **ჯესი ჰელმსმა,** აშშ-ის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა, 1989 წლის 12 აპრილს ამავე კომისიის სხდომაზე დაგმო 9 აპრილის დარბევის ვანდალური აქტი და დააყენა რეზოლუციის მიღების საკითხი. რეზოლუცია №110 მიღებულ იქნა და გამოქვეყნდა 19 აპრილს, რეზოლუციაში დადგენილია, რომ **ამერიკის შეერთებული შტატები: 1. მხარს უჭერს ქართველი ხალხის მრძოლას, მის მოთხოვნებსა და დემონსტრაციებს საკუთარ მიწა-წყალზე ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. 2. მხარს უჭერს ქართველი ხალხის მრძოლას თვითგამორკვევისათვის, შესაბამისად, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციის დასკვნითი აქტისა, რომელზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც. 3. მხარს უჭერს ქართველი ხალხის მრძოლას ადამიანის უფლებებისთვის, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რაზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც. 4. მოუწოდებს საბჭოთა მთავრობას, ყურად იღოს ქართველი ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებათა კანონიერი მოთხოვნები (შდრ. სენატის რეზოლუცია 110, საბჭოეთის მიერ ანექსირებული საქართველოს შესახებ).**

მერაბ კოსტავას თქმით, 9 აპრილმა ქართველი ერი კი არ დააჩოქა, არამედ მოხდა წინააღმდეგობის ძალების გაზრდა და გააასკეცება. ზვიად გამსახურდიას შეფასებით, 9 აპრილი იყო უდიდესი ტრავმა, მაგრამ მან დაიწყო ახალი ეტაპი, აქცია რა ჩვენი ეროვნული მოძრაობა, რომელიც ძირითადად ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის მოძრაობა იყო, საერთო-სახალხო მოძრაობად. რაც შეეხება ზოგადადამიანურ განზომილებას, ამ დღეს მსხვერპლად შეწირულთა სისხლი დაიღვარა და არა მარტო საქართველოს კეთილდღეობისთვის, არამედ საზოგადოდ, პლიტიკაში ქრისტიანული ზნეობის, ადამიანურობის დასამკვიდრებლად. ამ სიტყვებით გაცემულია ლაკონური პასუხი შეკითხვაზე, თუ რატომ დაიწყო იმ ღამეს ახალი ისტორიული ეპოქა, რომლის მნიშვნელობაც ნამდვილად სცდება საქართველოს ფარგლებს.

დასასრული, დასაწყისი №42-43



კანონი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს!

ყურადღებას ვთხოვთ

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბ-ნ ირაკლი კობახიძეს

პარლამენტის თავმჯდომარეს, ბ-ნ შალვა პაპუაშვილს

სათოთხმეტაპრილო ფიქრები

სხვისა არა ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას!..

ილია ჭავჭავაძე

1978 წლის 14 აპრილს საერთო სახალხო გამოსვლა ქართული ენისათვის კონსტიტუციური სტატუსის წართმევის შიშმა გამოიწვია. შევუნარჩუნეთ ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსი... მერე დამოუკიდებლობაც მოვიპოვეთ... თუმცა ქართული ენის წინაშე მდგარი პრობლემები მაინც მრავლდებოდა; საჭირო იყო ამ სტატუსის დამცავი მექანიზმის შემუშავება... გადაწყვიტეს დედაენის გულშემატკივრებმა, მოწინავე ევროპული ქვეყნების მსგავსად, კანონი გაეჩინათ ქართული ენისათვის...

კანონის შექმნაზე ფიქრი და ზრუნვა რეალურად 1991 წელს დაიწყო და 2015 წელს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“. დიახ, 2015 წლიდან გვაქვს კანონი ქართული ენის შესახებ, თუმცა...

აკაკი წერეთლის ირონიული ნათქვამი მახსენდება: „ცოლი მყავს და არა მყავს; შვილი მყავს და არა მყავს; პენსია მაქვს და არა მაქვსო“...

ამ „ჰანგზე“ ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ:

„**კანონი გვაქვს და არა გვაქვსო**!“...

მოლოდინი დიდი იყო, მაგრამ ქართული ენის ბედი კანონის მიღებას დიდად არ შეუცვლია... რატომ? იმიტომ რომ:

სახელმწიფო ენის კანონი გვაქვს და არა გვაქვს...

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი გვაქვს და არა გვაქვს...

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა გვაქვს და არა გვაქვს...

* * *

ვინ ან რა აბრკოლებს კანონის მოქმედებას?

ენის კანონის შექმნის იდეის გაჩენიდან ამ საშურ საქმეს მოწინააღმდეგე არ გამოლევია (ზოგი შეფარული და ზოგიც აშკარად გამხელილი მიზნებით...).

ისევ ის ბრძოლა გრძელდება?

ნუ გაიკვირვებთ: გავიხსენოთ ისტორია კანონის შექმნისა: გადავხედოთ დღევანდელ ვითარებას და მერე ვთქვათ, გვაქვს თუ არა ამგვარი დასკვნების გაკეთების საფუძველი.

* * *

საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის ბოლო წლებში ეროვნული ძალების ზეწოლით მიიღო „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ (1989 წ.), რომელმაც თითქმის ერთი წელი იცოცხლა... წარმატებით დაწყებულ კარგ საქმეს „კომუნისტების პროგრამა“ უწოდეს და დაივიწყეს... არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაიწყო ფიქრი და ზრუნვა ენის კანონის შექმნაზე. ინსტიტუტის დირექტორმა **ბესარიონ ჯორბენაძემ** კონსულტანტად მოიწვია ცნობილი იურისტი, იმუამად პარლამენტის წევრი, **თედო ნინიძე...** 1991 წელია.

ჩვენში, როგორც ყველა მნიშვნელოვან წამოწყებას, გაუჩნდნენ ოპონენტები... პოლიტიკის თემად იქცა კანონი ენის შესახებ...

კანონის შექმნის ინიციატორებსა და მომხრეებს მოჰყავდათ ისეთი ქვეყნების მაგალითები, როგორიცაა საფრანგეთი, შვედეთი, იტალია, ესპანეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი და სხვ...

მოწინააღმდეგენი, ვთქვათ, ინგლისის მაგალითით გვარწმუნებდნენ, არააო საჭირო ენის კანონი... ამის პასუხად მომხრეები საუბობდნენ იმაზე, რომ ისეთი ენობრივი შეგნების საზოგადოებას, როგორიცაა ბრიტანეთში, კანონი არ სჭირდებაო და ა. შ...

დაიწყო ოფიციალური სამთავრობო განხილვები „ენის კანონისა“:

1994 წელს თედო ნინიძემ (იმუამად უკვე იუსტიციის მინისტრმა) მთავრობის სხდომაზე განსახილველად გაიტანა „კანონი ენის შესახებ“... იმთავითვე გამოიკვეთა პოლიტიკური ჯგუფი ენის კანონის მოწინააღმდეგეებისა... პარლამენტის ქართული ენის ქვეკომიტეტის (თავმჯდომარე **მ. გიგინეიშვილი**) სხდომაზე განიხილეს ეს პროექტი. კანონის მოწინააღმდეგეთაგან ვრცელი სიტყვა თქვა **კოტე გამაშვილმა** (იმუამად უკვე გერმანიის ელჩმა)... მას ჰყავდა მხარდამჭერებიც...

1995 წელს კანონპროექტი დასამუშავებლად გადაეცა ქართული ენის სახელმწიფო კომისიას (თავმჯდომარე **ედუარდ შევარდნაძე);** 1997 წლიდან საქმეში ჩაერთო „ენის პალატა“ (თავმჯდომარე **ლ. ღვინჯილია)** და დაიწყო გრძელი გზა „კანონის გადამუშავებისა“, „დახვეწისა“... წელიწადში ერთხელ ტარდებოდა სახელმწიფო ენის კომისიის სხდომა, სადაც განიხილებოდა კანონპროექტი; გამოთქვამდნენ შენიშვნებს და უბრუნებდნენ ენის პალატას „გადასამუშავებლად“... 2001 წელს, როგორც იქნა, კანონპროექტი გადაეცა პარლამენტს, მაგრამ „არ მიიღეს“...

ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ მ. გიგინეიშვილმა მიმართა ე. შევარდნაძეს, უკან გაეთხოვა კანონპროექტი („ეუთოს წარმომადგენელთა აზრით, კანონის პროექტი ძალიან დასახვეწიაო“) და ისევ ენის პალატას დაუბრუნეს...

და 2002 წლის 28 ნოემბერს სახელმწიფო კომისიის სხდომამ კვლავ განიხილა ენის კანონის პროექტი და ისევ გადაეცა პარლამენტს... ახლა იქ გაგრძელდა ამ პროექტის წამება... ამასობაში **მოხდა „ვარდების რევოლუცია“** და **კანონპროექტი დაიკარგა!** დიახ, არაერთგზის მივაკითხეთ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს (თავმჯდომარე **ნ. გრიგალაშვილი)** ამ კანონის თაობაზე. ვერ მოვიძიეთო, გვითხრეს, დაიკარგაო...

ფაქტობრივ, 2004 წელს ამ კანონის „გაქრობა“ იყო დასაწყისი იმ ბრძოლისა, რომელიც სამთავრობო პოლიტიკურმა ძალამ ღიად გამოუცხადა ქართულ ენას. მცირე ჩამონათვალი:

უმაღლესი განათლების კანონიდან ამოიღეს მუხლი სწავლების ენის შესახებ (დიდი ძალისხმევით ეს პუნქტი დაბრუნდა კანონში...);

გააუქმეს ქართული ენის სახელმწიფო კომისია;

გააუქმეს ქართული ენის სახელმწიფო პალატა;

გააუქმეს პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;

გააუქმეს ტელევიზიაში და რადიოში ყველა პროგრამა ქართული ენის შესახებ...

არსებობა შეწყვიტა ქართული ენის შესახებ ყველა გაზეთმა და ჟურნალმა;

გაუქმდა უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო საგანი „ქართული ენა“ (მეტყველების კულტურა);

შემცირდა ქართული ენის საათები სკოლაში;

პირველ კლასში დედაენის საათები გაუყვეს ინგლისურს... და სხვა...

როცა კითხვა დაისვა, რას ერჩოდნენ ქართულ ენას, **ლომაია-საკაკაშვილის** „განათლების რეფორმის“ ერთ-ერთმა თავკაცმა **გიგი თევზაძემ** „განმარტა“ – საქართველოს **სახელმწიფო ენა ინგლისური** უნდა გახდესო... **ეს იყო გაცხადებული მიზანი დედაენისადმი დაპირისპირებისა...**

აი, ამ ბრძოლას შეეწირა **„კანონი ენის შესახებ“**...

* * *

2011 წელს „ქართული ოცნების“ ენის კომისიაში იყო მსჯელობა „ენის კანონის“ შემოღების აუცილებლობაზე... ეს თემა საარჩევნო დოკუმენტებშიც აისახა.

საბედნიეროდ, 2012 წლის შემდეგ გაცოცხლდა მრავალნატანჯი იდეა „ენის კანონისა“. პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი **ივანე კიღურაძე** ჩაუდგა სათავეში ამ საქმეს; მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შეიქმნა კანონპროექტის შემმუშავებელი კომისია (აკადემიკოსები: **თამაზ გამყრელიძე, მზექალა შანიძე, გუჩა კვარაცხელია, ავთანდილ არაბული, როინ მეტრეველი, ჯონი ხეცურიანი, ვაჟა შენგელია; პროფესორები ლევან ღვინჯილია და გ. გოგოლაშვილი**)...

ურთულესმა ენობრივმა ვითარებამ უკარნახა კომისიას, ამ ეტაპზე შემუშავებულიყო „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“ (ხოლო საკანონმდებლო აქტი არასახელმწიფო ენების შესახებ ამის საფუძველზე უნდა შექმნილიყო)...

კანონპროექტი 2013 წელს შევიდა პარლამენტში განსახილველად... ისევ წინააღმდეგობები და **2015 წლის 15 ივლისს პარლამენტმა მიიღო „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“...**

ვიფიქრეთ, დასრულდა ხანგრძლივი და უსამართლო ბრძოლა ენის კანონის წინააღმდეგ; ვიზეიმეთ კანონის მიღება და **იმედით დაველოდეთ ამ კანონის ამოქმედებას...**

მაგრამ ზემოთ ხომ ვთქვით: „კანონი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვსო?!“

დიახ, დაიწყო ახალი ეტაპი კანონის წინააღმდეგ ამხედრებული ძალებისა...

* * *

კანონის გარდამავალ და დასკვნით დებულებებში ჩაიწერა:

„მუხლი 40. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასახორციელებელი ღონისძიებები

1. **2016 წლის 1 თებერვლამდე:**

ა) საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულება და სტრუქტურა, განსაზღვროს მისი ქონების შექმნის წესი;

ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თანამდებობაზე დანიშნოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

2. **2016 წლის 14 აპრილამდე** საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს:

ა) „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა“...

ანუ: **კანონის ამოქმედებისათვის ამ ორი პუნქტის შესრულება იყო აუცილებელი პირობა!**

საქართველოს მთავრობამ (იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა **გ. კვირიკაშვილმა)** უხეშად **დაარღვია კანონი**: მიუხედავად საზოგადოების გამუდმებული მოთხოვნისა (რადიო, ტელევიზია, პრესა... საჯარო შეკრებები), **2017 წლის ოქტომბრამდე** არ შექმნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (თითქმის ორი წლის დაგვიანებით!) – მთავარი ბერკეტი კანონის ამოქმედებისა!..

რატომ ვამახვილებთ ამ ფაქტებზე ყურადღებას? გავხაზავთ: „**ენის კანონის“ ამოქმედების მთავარი ბერკეტი არის „სახელმწიფო ენის დეპარტამენტი“.** ამ დეპარტამენტის საქმიანობაზეა დამოკიდებული, როგორ აღსრულდება კანონი.

კანონის დამრღვევისათვის პასუხი არავის მოუთხოვია (რამდენადაც ვიცი, კანონზე ზედამხედველობის ორგანოში ამის შესახებ საუბარი არ ყოფილა...)...

2017 წლის 27 ოქტომბერს დაიწერა ბრძანება დეპარტამენტის შექმნისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ (თავმჯდომარედ დაინიშნა **გ. ალიბეგაშვილი)**... კანონის მოთხოვნის შესაბამისად, **ამ დღიდან ორთვენახევარში** საქართველოს მთავრობას **უნდა დაემტკიცებინა „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა“** – (**დეპარტამენტის საქმიანობის განმსაზღვრელი მთავარი დოკუმენტი)** ანუ: 2018 წლის იანვარში ეს პროგრამა უნდა ამოქმედებულიყო...

„სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა“ დღესაც არ არსებობს!

თავის მართლების მიზნით დეპარტამენტი მიმართავს ტერმინოლოგიურ მანიპულაციებს, ერთმანეთში ურევს „სახელმწიფო ენის ერთიან პროგრამასა“ და „სახელმწიფო ენის სტრატეგიას“; აბნევს მკითხველს იმით, რომ მთავრობის მიერ დამტკიცებულ „სტრატეგიას“ ზოგან ფრჩხილებში მიუწერა „პროგრამა“... არადა პროგრამა გულისხმობს კონკრეტულ ღონისძიებათა ჩამონათვალს შემსრულების, შესრულების ვადებისა და ფინანსური უზრუნველყოფის მითითებით...

„სტრატეგია“ ზოგადი მიმართულების განმსაზღვრელი დოკუმენტია...

რა გამოვიდა: **მივიღეთ კანონი;** დაგვიანებით შეიქმნა დეპარტამენტი... არ შექმნილა ერთიანი პროგრამა... ე. ი. **არ მუშაობს კანონი...**

ვინც ასე არ ფიქრობს, ვურჩევდი: გადავხედოთ კანონის მეათე თავს და გავაკეთოთ დასკვნა, სრულდება თუ არა კანონის მოთხოვნები...

ნებისმიერ ოპონენტთან შემიძლია დავჯდე და პუნქტობრივ განვიხილოთ კანონი; რა უნდა გაკეთებულიყო, რა ევალება დეპარტამენტს და რა გაკეთდა...

დეპარტამენტის თავის მართლება სამთავრობო დადგენილების მოშველიებით იურიდიული თვალსაზრისით არის ნონსენსი: „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“ არის ორგანული კანონი; ამიტომ კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობა ვერ გამართლდება მთავრობის მიერ 2019 წლის 21 დეკემბრის დებულების თანახმად“ გამოცემული „საქართველოს მთავრობის დადგენილების (№629, 2021 წლის 30 დეკემბერი)“ მოშველიებით (ასე განმარტა დეპარტამენტმა სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის შეუსრულებლობა!)... ორგანულ კანონზე მაღლა მხოლოდ კონსტიტუცია დგას!

ბოლო ხანებში არაერთგზის ითქვა, დაიწერა მიზეზებზე, რატომ არ სრულდება კანონი. იყო მინიშნებები საეჭვო დამთხვევებზე სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებთან... ამის ძიება ჩემი საქმე არ არის...

27 მაისს მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოების სხდომაზე გვქონდა საუბარი ამ თემებზე... მე საზოგადოების გულისტკივილს გამოვხატავ... ესეც ვთქვით: გავიდეთ რეგიონებში და ვიკითხოთ: იციან ამ კანონის არსებობა და გრძნობენ მის მოქმედებას? ეს კანონი მათთვის არ შექმნილა?

და კიდევ: შევახსენებ ხელისუფლებასა და პარლამენტს: კანონის მე-11 თავს ჰქვია **„პასუხისმგებლობა სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის“**. მუხლი 38: **„ამ კანონის დარღვევისათვის პირი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“**...

ჩვენი სურვილი არ არის ვინმეს დასჯა; ეს წერილი ამ მიზნით დაიწერა: ველოდებით პასუხს კითხვებზე –

დაირღვა და ირღვევა თუ არა „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“?

როგორ და როდის შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა?

როდის ამოქმედდება კანონი მთელი თავისი შესაძლებლობით?

გიორგი გოგოლაშვილი,
თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის განოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲖᲐᲠᲥᲣᲐ: ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲨᲐᲰᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲘ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐᲨᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲨᲔᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ, ᲐᲮᲚᲐᲪ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲮᲓᲔᲑᲐ

„ᲐᲮᲚᲐ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲘᲡ? თავის გუნდს ხელმძღვანელობს, ლიდერობს, მესიჯებს უწერს. თურმე, არც დემენცია აქვს და არც არავის მოუკლავს. ჯანმრთელად არის, კვება დაიწყო. ისინი კი ორკესტრირებულად საქართველოს უტევდნენ და ამბობდნენ, რომ უსამართლო ქვეყანა არ იმსახურებდა ევროკავშირს, კანდიდატის სტატუსს. სტატუსი ღირსებით და არა ცალ ფეხზე დგომით მივიღეთ.

კითხვა მაქვს, მაშინ, შეცდომაში შეიყვანეს ქალბატონი სენატორი და ამიტომ ჰქონდა ეს პოზიცია, თუ საქართველოს შეგნებულად მტრობდნენ, როცა ბრალს სდებდნენ ანტიკონსტიტუციურ ქმედებაში? ეს ყველაფერი სტრასბურგის სასამართლომ გააქარწყლა და თქვა, არც მოწამლულია და სამართლიანად ზისო. ახლა როგორ ვქნათ ქალბატონო შაჰინ? თქვენი სახელმწიფო დიდი სახელმწიფოა, ოკეანის გადაღმაა, მშვიდობიანად ცხოვრობთ, ჩვენი ქვეყანა პატარაა თავისი გეოგრაფიული არეალიდან და მევრი სახელმწიფოს ინტერესების კვეთაშია, მათ შორის ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან, ყველას მისი ინტერესი აქვს. ამიტომ, ქვეყნის დაცვა გვჭირდება. რომ დავიცვათ, უნდა ვიცოდეთ, გავლენის ფონზე ვინ და რა მიზნით ფინანსდება.

ჩვენ ვართ ღირებულებების გამზიარებელი, რაც ნიშნავს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობას, თანასწორ ვაჭრობას, ყველაფერში მივყვებით, რაც ევროპულ ღირებულებებს მოიცავს. სააკაშვილის თემაზე უტევდნენ ორკესტრირებულად სახელმწიფოს და აღმოჩნდა, რომ შეცდომაში იყვნენ შეყვანილი. ახლაც იგივე ხდება“, – განაცხადა ზარქუამ.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔ: ᲗᲣᲠᲛᲔ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲝᲐ ᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ უმრავლესობის ლიდერის, მამუკა მდინარაძის განცხადებით, პარტნიორებისგან „ქართული ოცნების“ მიერ დაინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით სიტყვა რუსული აღარ ისმის, თუმცა ახლა საუბარია იმის შესახებ, რომ აღნიშნული ინიციატივა ევროკავშირთან შეუსაბამოა.

მდინარაძის თქმით, მსგავი კანონი, რომელიც ევროკავშირშია დაინიცირებული და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, ასევე აშშ-ში უკვე მოქმედებს, გაცილებით მკაცრია, ვიდრე მმართველი გუნდის მიერ წარმოდგენილი ვერსია.

„ერთი წელი მოვუნდით, რომ პარტნიორების მხრიდან სიტყვა რუსული აღარ თქმულიყო, არ ვლაპარაკობ ცალკეულ ევროპარლამენტარებზე. სიტყვა რუსული რომ ამოვარდნილიყო, ერთი წელი მოვუნდით და ახლა თურმე ევროკავშირთან შეუსაბამოა ის კანონი, რომლის მსგავსი ევროკავშირშია დაინიცირებული და კიდევ უფრო მკაცრია. დაინიცირებულია ევროკავშირში, ევროკომისიის დირექტივის სახით, ასევე, ქვედა პალატამ უკვე მიიღო საფრანგეთში გაცილებით მკაცრი კანონი და მოქმედებს აშშ-ში, სხვა ქვეყნებში, დემოკრატიულ, ცივილიზებულ სამყაროში. ჩვენ მადლიერებას გამოვხატავთ ამერიკის მოქმედი ელჩის მიმართ, რომ მისი განწყობა, დამოკიდებულება აბსოლუტურად სხვა არის, ამის არაღნიშვნა არ შეიძლება, თუმცა მანაც გაგვაკრიტიკა. თქვა, რომ ეს არ არის ამერიკული კანონი და მართალი თქვა. შარშან ორი კანონიდან ერთი იყო პირდაპირი თარგმანი, რასაც რუსული დაარქვეს, ეს არის გაცილებით ლოიალური ვერსია, არამკაცრი, სადაც ვალდებულება მხოლოდ დარეგისტრირებასა და დეკლარაციის შევსებაშია. სხვა ქვეყნის კანონისგან განსხვავებით, ჩვენ მიერ დაინიცირებულ პროექტში მეტი ვალდებულება არ არსებობს. ოღონდ შარშან არსებობდა მეორე პროექტი, რომელსაც ასევე რუსული დაარქვეს, რომელიც ამერიკული ვერსიის პირდაპირი თარგმანი, გაცილებით მკაცრი იყო“, – განაცხადა **მამუკა მდინარაძემ.**

ამასთან, მდინარაძის განმარტებით, ენჯეოსექტორის ერთ-ერთი წარმომადგენელი, როგორც იქნა, დისკუსიაში ჩაერთო და მიუთითა მეორე პუნქტზე, რომ ის არის რუსული. მდინარაძის თქმით, სინამდვილეში, მან ყველაზე არარუსული მუხლი დაასახელა.

ᲔᲙᲐ ᲡᲔᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ...

ᲘᲡᲔᲗᲛᲐ პატარა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ყველაზე დიდი დახმარება გაგზავნა ავღანეთში, ერაყში, სხვადასხვა ცხელ წერტილებში და გლობალური უსაფრთხოებისთვის, საქართველომ სხვების მხარდამხარ იბრძოლა – ასე რომ, ჩვენ არავის დასამადლებელი არაფერი გვჭირს, – მის შესახებ პარტია „ხალხის ძალის“ საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანმა, **ეკა სეფაშვილმა** განაცხადა.

როგორც სეფაშვილმა აღნიშნა, აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გაწეული ფინანსური დახმარებიდან, დიდი ნაწილი ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნებას მოხმარდა.

„ჩვენ რომ გვითვლის ამ მილიონებს, ამ მილიონებიდან თუ მილიარდებიდან ძალიან დიდი ნაწილი მიშა სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნებას მოხმარდა, 2008 წლის ომის შემდეგ. ძალიან დიდი ნაწილი მიდის იმ „ენჯეოების“ დახმარებასა და დაფინანსებაზე, რომლებიც პირდაპირ მავნებლობას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ.

სწორედ ამას ვთხოვთ: ჯერ ერთი, ნუ გვითვლის ამ დახმარებას, რადგან ჩვენ ვალში არანაირად არ ვართ. ჩვენს მიერ ავღანეთში გაწეული დახმარება, დაახლოებით, 2.5 მილიარდი დოლარი დაუჯდებოდა ამერიკას, თვითონ რომ გაეწია ის ხარჯი, რაც ჩვენ გავწიეთ ავღანეთში ჩვენი მისიით.

წინა ელჩის დროსაც გვქონდა ეს მოწოდება და ახლაც მოვუწოდებთ – რას გვაყვედრიან?! გვითხრან პირდაპირ, რაში დახარჯეს, ვის მისცეს, რამდენი მისცეს და ა.შ. ღიაობა და დიალოგი არის ყველა პოლიტიკური დავის გადაწყვეტის მექანიზმი“, – განაცხადა **ეკა სეფაშვილმა.**

ᲢᲠᲐᲛ�პᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲨᲔᲬᲝᲜᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛ�პᲘᲡ საარჩევნო კამპანიის წარმომადგენლების განცხადებით, ტრამპი მიიჩნევს, რომ უკრაინაში მისი ვიზიტი ახლა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ის პრეზიდენტის თანამდებობას არ იკავებს.

„ვოლოდიმირ ზელენსკის მხრიდან არანაირი კავშირი არ ყოფილა და დონალდ ტრამპმა საჯაროდ განაცხადა, რომ ახლა მისი უკრაინაში ვიზიტი არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან ის არ არის პრეზიდენტი“, – ნათქვამია ტრამპის საარჩევნო კამპანიის წარმომადგენლების განცხადებაში.

დონალდ ტრამპმა არაერთხელ განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ომის 24 საათში დასრულებას შეძლებს. ცნობისთვის, ზელენსკიმ აქსელ სპრინგერის მფლობელობაში არსებულ მედიასაშუალებებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ დონალდ ტრამპი უკრაინაში ვიზიტით დაინტერესდა, თუმცა თარიღი არ დასახელებია. ამასთან, როგორც ზელენსკიმ ინტერვიუში აღნიშნა, მზად არის, მოისმინოს ტრამპის გეგმა, რომელიც მას უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით აქვს.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘᲐ...

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲜ, რომ ირანის თავდასხმა ისრაელზე გარდაუვალია და შეიძლება, უახლოეს დღეებში მოხდეს. ანონიმური წყაროები, რომლებიც აშშ-ისა და ისრაელის დაზვერვის შეფასებებს იცნობენ, მოხსენებაში აღნიშნავენ, რომ მთავარი საკითხია, როდის დაესხმება თავს თეირანი ისრაელს და არა ის, დაესხმება თუ არა. მათივე მოხსენების მიხედვით, ჯერჯერობით უცნობია, ეს მოხდება ირანის ტერიტორიიდან თუ მისი ერთ-ერთი მარიონეტული წარმომადგენლის მიერ.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ თეირანს შეუძლია, თავდასხმისას გამოიყენოს მაღალი სიზუსტის რაკეტები ან თვითმფრინავები. მანამდე ირანის სულიერმა ლიდერმა, აიათოლა ალი ხამენემ განაცხადა, რომ ისრაელი უნდა დაისაჯოს და დაისჯება კიდეც სირიაში ირანის საკონსულოზე თავდასხმის გამო.

ᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ ᲔᲛᲘᲯᲜᲔᲑᲐ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი აცხადებს, რომ ვარშავა არ მიიღებს მიგრანტების განაწილების ევროკავშირის მექანიზმს იმის მიუხედავად, რომ ევროპარლამენტმა მიგრაციის პაქტი დაამტკიცა, – ამის შესახებ **დონალდ ტუსკმა** პრესბრიფინგზე განაცხადა.

თავშესაფრისა და მიგრაციის შესახებ პაქტს ევროპარლამენტის 301 წევრმა დაუჭირა მხარი, 272 დეპუტატმა წინააღმდეგ მისცა ხმა, 46-მა კი თავი შეიკავა. პაქტი ათ კანონს აერთიანებს, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში მიგრანტების გადანაწილების შესახებ. ევროკავშირის თავშესაფრისა და მიგრაციის შესახებ ახალი პაქტი ათ კანონს აერთიანებს. ახალი სისტემის მიხედვით, მიგრანტები, რომლებიც უკანონოდ შევლენ ევროკავშირის ტერიტორიაზე, შვიდი დღის განმავლობაში გაივლიან პიროვნების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შემოწმების პროცედურებს, რაც მოიცავს სახისა და თითის ანაბეჭდების ბიომეტრიულ მონაცემებსაც. პროცედურის მიზანია, განისაზღვროს, რომელმა მიგრანტმა უნდა გაიაროს დაჩქარებული თუ სტანდარტული პროცედურა თავშესაფრის მინიჭებისთვის და ვინ უნდა გაიგზავნოს უკან, საკუთარ თუ ტრანზიტულ ქვეყანაში. ახალი წესები ძალაში 2026 წლიდან შევა.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐᲡ „ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲐ

ᲓᲐᲖᲐᲨᲘ ისრაელის ავიადარტყმას „ჰამასის“ ლიდერის, ისმაილ ჰანიეს სამი შვილი და სამი შვილიშვილი ემსხვერპლა. სამიზნე ავტომობილი გახდა, რომლითაც ჰანიეს ოჯახის წევრები მგზავრობდნენ.

ისმაილ ჰანიეს თქმით, „ჰამასის“ ლიდერების სახლებისა და ოჯახების მიზნად ამოღება კიდევ უფრო გააძლიერებს „ჰამასის“ სიმტკიცეს. „ვინც ფიქრობს, რომ მოლაპარაკებების დროს და შეთანხმების მიღწევამდე ჩემი შვილების მიზნად ამოღებით „ჰამასს“ აიძულებს, უარი თქვას თავის მოთხოვნებზე, ცდება“, – განაცხადა ისმაილ ჰანიემ.

ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲛ ᲨᲝᲚᲪᲘ ᲒᲐᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲘᲡ პრეზიდენტმა, **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** მკაცრად გააკრიტიკა გერმანიის კანცლერი, ოლაფ შოლცი იმის გამო, რომ ის უარს ამბობს უკრაინისათვის შორმანძილზე მოქმედი Taurus-ის რაკეტების გაგზავნაზე.

„რამდენადაც მე მესმის, კანცლერს მიაჩნია, რომ რადგან ის არის არაგირთვული სახელმწიფოს წარმომადგენელი, ეს არის ერთადერთი იარაღი, რომელიც გერმანიას აქვს, ყველაზე ძლიერი. მან გამიზიარა მესიჯები, რომ ასეთი ძლიერი იარაღის გარეშე ვერ დატოვებს ქვეყანას“, – აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

გაზეთი „ლელო“ 90 წლისაა

ის დაიბადა აპრილის თვეში...

ვინ თქვა 13 თარსი რიცხვიაო. აი, მაგალითად, ხვალ 13 აპრილია. ვინ იცის, ამ დღეს რამდენი სახელოვანი ადამიანი დაბადებულა (და არა მხოლოდ ისინი).

ასტროლოგიას თუ მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ ამ დღეს შობილნი კეთილშობილებით, გულწრფელობითა და შეუპოვრობით გამოირჩევიან, მორალურად ძლიერნი არიან, აქვთ მძლავრი ენერგეტიკა, მახვილი გონება. ნოვატორები და რეფორმატორები ხშირად აღწევენ წარმატებას და პოპულარულნი ხდებიან.

და განა უფრო დიდი პოპულარობა იქნება, ციცქნა საქართველოში 700.000-ზე მეტი ტირაჟით გამოდიოდე და 9 საათზე უკვე კიოსკები დაცარიელებული იყოს?

სპორტის სტაჟიანი გულშემატკივრები, იმედია, მიგვიხვდებიან, რომ ყველა ზემოაღნიშნული თვისებით შემკულ სასპორტო გაზეთ „ლელოზე“ მოგახსენებთ, რომლის ტირაჟმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში 700.000-ს გადააჭარბა.

პირველი ქართული სასპორტო გაზეთის პირველი ნომერი 1934 წლის 13 აპრილს გამოვიდა სამზეოზე სახელწოდებით – „საქართველოს ფიზკულტურელი“ (რედაქტორი შ. ქაჯაია), რომელსაც ფართო ასპარეზზე გამოსვლა თვით საქართველოს კპ (ბ) ცკ-ს მდივანმა ლავრენტი ბერიამ მიულოცა. გაზეთს 1936 წლიდან „ფიზკულტურელი“ ეწოდა, 1949 წლის 10 ივლისიდან დღემდე კი „საქართველოს ფიზკულტურელისა“ და „ფიზკულტურელის“ სამართალმემკვიდრე „ლელოს“ სახელწოდებით იბეჭდება, რომლის აღზევება სახელოვანი პუბლიცისტისა და რედაქტორის – მიხეილ კაკაბაძის სახელს უკავშირდება.

„დღეიდან საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალათასიან არმიას ექნება თავისი მეჭდვითი ორგანო, გამოდის გაზეთი „ლელო“. „ლელო“ გავიტანეო, – ამბობს ქართველი კაცი. ლელო ხომ გამარჯვებას ნიშნავს, ახალ მიღწევას, ახალ ნაბიჯს, გადადგმულს მიზნისკენ“, – ვკითხულობთ აღორძინებული სასპორტო გაზეთის მოწინავეში.

და მართლაც, გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულიდან „ლელო“ გახდა მაცნე საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე სახელოვან ქართველ სპორტსმენთა ფენომენალური გამარჯვებებისა.

გაზეთმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული სპორტის განვითარება-პროპაგანდაშიც. 1964 წელს „ლელოში“ ჩამოყალიბდა „საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია“. 1992 წელს მისი სამართალმემკვიდრე გახდა „სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია“, რომელიც საუკეთესო სპორტსმენების გამოსავლენად ყოველწლიურად რეფერენდუმს ატარებს.

1989 წელს „ლელოში“ ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომლის საორგანიზაციო კომიტეტს გაზეთის მაშინდელი რედაქტორი (ამჟამად საპატიო რედაქტორი) თენგიზ გაჩეჩილაძე ედგა სათავეში.

სხვადასხვა წლებში გაზეთ „ლელოს“ რედაქტორები იყვნენ მიხეილ კაკაბაძე, ერემო მახათაძე, ირაკლი უგულავა, ანზორ ბასილაია, არჩილ გოგელია, თენგიზ გაჩეჩილაძე (30 წლის განმავლობაში), გია თვალაბეიშვილი. 2021 წლიდან გაზეთის რედაქტორია პაატა გელაშვილი.

2008 წელს „ლელო“ ჰოლდინგ „პალიტრა მედიის“ წევრი გახდა და კვირაში ხუთჯერ გამოიცემოდა. სამი წლის განმავლობაში გამოდიოდა გაზეთის ყოველკვირეული დამატება – ჟურნალი „ლელო week“ (რედაქტორი პ. გელაშვილი), ამჟამად „ლელო“ გამოდის მხოლოდ ორშაბათობით, მასალების ელექტრონული ვერსია საიტ Lelo.ge-ზე თავსდება.

ვულოცავთ გაზეთ „ლელოს“ და მის შემოქმედებით კოლექტივს 90 წლის იუბილეს. კვლავაც მხნედ და ახალგაზრდული შემართებით იდგეს ქართული სპორტის ავანგარდში!

საგანმანათლებლო და კვლევითი თანამშრომლობა კანზას სითის უნივერსიტეტთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ კანზას სითის მისურის უნივერსიტეტთან (აშშ) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კანზას სითის მისურის უნივერსიტეტს (აშშ) შორის გაფორმებული მემორანდუმი საგანმანათლებლო და კვლევით თანამშრომლობას ითვალისწინებს. თანამშრომლობის ფარგლებში, მისურის უნივერსიტეტში თსუ სტუდენტებისთვის გამოყენებული იქნება სწავლების საფასურისა და სხვა მოსაკრებლების სპეციალური განაკვეთები და სტუდენტთა მიღების წინაპირობების საგამონაკლისო წესი.

მემორანდუმის ხელმოწერის ღონისძიებას კანზას სითის მისურის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი თომას ნანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი თამარ ზარანდია, იურიდიული ფაკულტეტის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები ესწრებოდნენ.

გოჩა ლორთქიფანიძე ჰააგის სასამართლო სააპელაციო პალატის თავმჯდომარე გახდა

მოსამართლე გოჩა ლორთქიფანიძე, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უმაღლესი სტრუქტურული ერთეულის – ბოლო ინსტანციის, სააპელაციო პალატის პრეზიდენტად აირჩიეს. აღნიშნული ინფორმაცია სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.



დღემდე მოსამართლე ლორთქიფანიძე საერთაშორისო მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში აქტიურად მონაწილეობს - იგი თავმჯდომარეობდა პროკურორი საიდ აბდელ კანის წინააღმდეგ საქმესთან დაკავშირებული საჩივრების, ხოლო ამჟამად თავმჯდომარეობს პროკურორი ბოსკო ნტაგანდას წინააღმდეგ რეპარაციების ეტაპზე საჩივრის განხილვას. როგორც სააპელაციო პალატის მოსამართლე მონაწილეობდა სამი სხვა საჩივრის, ისევე როგორც ავღანეთის, ფილიპინების და ვენესუელის სიტუაციებიდან გამომდინარე საჩივრების განხილვაში.

მოსამართლე გოჩა ლორთქიფანიძე არის სასამართლოს სამართლებრივი ტექსტების თაობაზე საკონსულტაციო კომიტეტის წევრი. ასევე ხელმძღვანელობს მოსამართლეების სამუშაო ჯგუფს სასამართლოსთვის საკონსულტაციო როლის განსაზღვრის თაობაზე.

გოჩა ლორთქიფანიძე ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მოსამართლის მოვალეობის შესრულებას 2021 წლის 19 აპრილს შეუდგა. მოსამართლის პოზიციაზე ის 9 წლის ვადით არის არჩეული. გოჩა ლორთქიფანიძე პირველი ქართველი მოსამართლეა ამ პოზიციაზე.

ფოთში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა გრძელდება

ფოთში, 26 მაისის ქუჩაზე 125 აღსაზრდელზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება, რომლის ღირებულება 3 460 940 ლარს შეადგენს.



საბავშვო ბაღის შიდა ინფრასტრუქტურა და გარე სივრცე თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოეწყობა. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

„ამ ლოკაციაზე ფუნქციონირებდა №1 სკოლამდელი საალმზრდელო დაწესებულება. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ ადგილზე გაგრძელებულიყო სკოლამდელი აღზრდის მრავალწლიანი ისტორია. შესაბამისად, შენობის ავარიულობის დადგენის შემდეგ მივიღეთ დემონტაჟისა და ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის გადაწყვეტილება,“ – განაცხადა ფოთის მერმა ბექა ვაჭარაძემ.

განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - ხობის მუნიციპალიტეტში შპს „ბლექ სი პეტროლიუმის“ 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 25 აპრილი, 15:00 საათი, ხობის მუნიციპალიტეტი, ყულევის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლის შენობა (მის.: ყულევი, იმედის ქუჩა №180)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **30 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 1 აპრილს. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

ირაკლი კობახიძე: მხოლოდ უსამშობლო ადამიანები თუ იკადრებენ იმას, რასაც ჩვენი ოპონენტები ქართული სპორტისა და ხელოვნების წინააღმდეგ კადრულობენ!

მხოლოდ უსამშობლო ადამიანები თუ იკადრებენ იმას, რასაც ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები ქართული სპორტისა და ხელოვნების წინააღმდეგ კადრულობენ, – ამის შესახებ Facebook-ზე პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** წერს.

მისივე თქმით, ეს იყო მათი ხელწერა ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როდესაც კომპრომეტირებულ ხელოვანებს, სპორტსმენებს და მათი ოჯახის წევრებს საკუთარი ვიწრო პოლიტიკური ინტერესების სამსახურში აყენებდნენ და იგივეა მათი ხელწერა დღესაც.

„ორი კვირის წინ ისტორიულმა საფეხბურთო გამარჯვებამ ქართველი ხალხი გაგვაერთიანა. მედნიერებისა და ეროვნული სიამაყის განცდამ გააერთიანა ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, ქვეყანა, ქართული ფეხბურთი და საქართველოს გამარჯვება.

სპორტი და ფეხბურთი ყველასია. სპორტი და ფეხბურთი თანაბრად ეკუთვნის საქართველოს ყველა გულშემატკივარს, ყველა პატრიოტ ქართველს. ქართულმა სპორტმა ბოლო წლებში უპრეცედენტო წარმატებებს მიაღწია. პირველად ისტორიაში საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა, პირველად ისტორიაში მორაგბეებმა 6 ერის გუნდებს მოუგეს, პირველად ისტორიაში კალათბურთის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე გავიდა და მსოფლიოს 16 საუკეთესო გუნდს შორისაც მოხვდა, პირველად ისტორიაში წყალბურთის ნაკრებმა ევროპის 8 საუკეთესო გუნდს შორის დაიკავა ადგილი, პირველად ისტორიაში ხელბურთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა და პირველი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

როდესაც 30 წლის თავზე სპორტის ყველა ძირითად გუნდურ სახეობაში რაღაც პირველად ხდება, ეს ნიშნავს, რომ ამ ყველაფერში ხელისუფლების ძალისხმევის წილიც დიდია. თუმცა, ხელისუფლებას არასოდეს უცდია, ეს გამარჯვებები თავისთვის მიეწერა.

კარგად გვესმის, რომ სპორტი ყველასია და ასეთად უნდა დარჩეს. ამიტომ, ჩვენი პასუხისმგებლობაა, სუბიექტურ ინტერესებზე მაღლა დავდგეთ და ქართულ სპორტსა და ხელოვნებას პოლიტიკა მაქსიმალურად ავარიდოთ.

სამწუხაროა, რომ რასაც ჩვენ მაქსიმალურად ვუფრთხილდებით, საერთოდ არ უფრთხილდება ოპოზიცია, რომელიც აქტიურად ცდილობს, ქართული სპორტი და ხელოვნება საკუთარ პოლიტიკურ ჭუჭყში გასვაროს. აქედანაც ჩანს მათი დამოკიდებულება ქვეყნისა და იმ ყველაფრის მიმართ, რასაც საქართველოს იდენტობა უკავშირდება. მხოლოდ უსამშობლო ადამიანები თუ იკადრებენ იმას, რასაც ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები ქართული სპორტისა და ხელოვნების წინააღმდეგ კადრულობენ. ეს იყო მათი ხელწერა ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როდესაც კომპრომეტირებულ ხელოვანებს, სპორტსმენებს და მათი ოჯახის წევრებს საკუთარი ვიწრო პოლიტიკური ინტერესების სამსახურში აყენებდნენ და იგივეა მათი ხელწერა დღესაც.

ამ ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ, რომელიც გულგრილი არ არის საკუთარი ქვეყნის, ქართული სპორტისა და ხელოვნების მიმართ, უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ სააკაშვილის, გვარამიას, ხაზარაძის, გახარიას და გიგაურის პოლიტიკურ ჭუჭყში ქართული სპორტისა და ხელოვნების გასვრა არ დაუშვას.

არ შეგეშინდეს, ქართველო!

SIC! სააკაშვილის, გვარამიას, ხაზარაძის, გახარიას, გიგაურის პოლიტიკურ ჭუჭყში გასვრილი ქართული სპორტი და ხელოვნება...

◎ ფიცარნაგზე

არის ბრინჯაო!

ზაზა ლომთაძე (109 კგ) მსოფლიო თასის პრიზიორია. ქართველმა შტანგისტმა ორჭიდში ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა.

ტაილანდში მიმდინარე ფორუმზე ძალოსანმა ნაკრების მთავარი მწვრთნელის გიორგი ასანიძის შეგირდმა ატაცში სამივე ცდა წარმატებით გამოიყენა, 160 / 165 / 170 კგ. დაძლია და მე-4 ადგილზე გავიდა. ლომთაძემ აკვრაში თავი 202 / 209 კილოგრამს გაართვა და აქაც მე-4 საფეხურზე დამკვიდრდა, ხოლო ორჭიდში მოგროვებული 379 კილოგრამით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

◎ ეროვნული თასი

თსუ-მ გაიმეორა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს თასის მფლობელი გახდა. ლექსო ლაფანაშვილის, ნიკა მსხალაიას და დიმიტრი ჭელიძის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალურ მატჩში გორის ივერიონი 92:81 დაამარცხა და ქვეყნის ჩემპიონობის შემდეგ რანგით მეორე ტიტულს ზედიზედ მეორედ დაეუფლა.

სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს თასი შარშანაც მოიგო და ტიტულის შენარჩუნება წლეულს მოახერხა, რაც ამ ტურნირის ისტორიაში მეორედ მოხდა. თავის დროზე თასის გათამაშება ზედიზედ ორჯერ თბილისის დინამოს მოუგია. სტუდენტთაგან ფინალში ძლეული გორის ივერიონისთვის სატიტულო მატჩში გასვლა უკვე სოლიდური წარმატებაა. შიდაქართლურმა გუნდმა ნახევარფინალიდან სუპერლიგის ლიდერი და ქართული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი – ქუთაისი გამოაგდო.

გორელებმა ღირსეულად ითამაშეს ფინალშიც, თასის მომავალ მფლობელ თსუ-ს ტოლი არ დაუდეს და პირველ პერიოდში სოლიდური ჩამორჩენა მეორე ათწუთეულში აღმოფხვრეს. გორელები მესამე პერიოდში ისევ ჩამორჩნენ მეტოქეს, რომელსაც ეროვნული ნაკრების კალათბურთელები ლიდერობდნენ. აღსანიშნავია ნაკრებში კარიერადასრულებული გიორგი ცინცაძის თამაში, რომელმაც საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. ქართული კალათბურთის ლეგენდარულ გამთამაშებელს სამმაგ დუბლამდე 1 პასი დააკლდა – 17 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი. ორმაგი დუბლი შეასრულა ვილი ისიანმა, რომელმაც თსუ-ში გადმოსვლის შემდეგ საუკეთესო მატჩი ითამაშა – 15 ქულა, 14 მოხსნა, 4 პასი.

ბომბარდირი გახდა კახა ჯინჭარაძე, რომელმაც 31 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. ჯინჭარაძეს გადაეცა თასის გათამაშების საუკეთესო მოთამაშის პრიზი, რომელიც ნაკრებისა და თსუ-ს შემტევ უკანახაზელს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლაშა გამყრელიძემ გადასცა. მატჩის ბოლო პერიოდში თსუ-ს ლიდერობამ 10 ქულას გადააჭარბა და გორელებმა ვერაფრის შეცვლა ვეღარ მოახერხეს.

◎ ჩემპიონთა ლიგა

სულო და გულო...

ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური რაუნდი ნებისმიერი გემოვნების ქომაგს დააკმაყოფილებდა, რადგან ოთხივე შეხვედრაში გუნდებმა აქცენტი შეტევაზე გააკეთეს და ინტრიგა მეტნაკლებად თითოეულ წყვილში შენარჩუნდა, რაც საფუძვლიან ვარაუდს აჩენს, რომ შემდგომ პლეი-ოფში ესპანური, ინგლისური ან თუნდაც გერმანული დერბები ვიხილოთ.

რეალი–სიტი 3:3,
არსენალი–ბაიერნი 2:2,
პარი სენ-ჟერმენი–ბარსელონა 2:3,
ატლეტიკო–დორტმუნდი 2:1.

სანტიაგო ბერნაბეუზე გამართული თვალსასაჩინო ნაადრევი ფინალი ფოდენის, გვარდიოლისა და ვალვერდეს საკონკურსო გოლებმა დაამშვენა, ლონდონში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მიუხედავად ჩაგდებული შიდასეზონისა, ბავარიელთა ჩამოწერა ნაადრევია, კატალონიელებს ტრავმამოშუშებული ლიდერები უბრუნდებიან და მათ საფრანგეთის დედაქალაქში ისიც დაამტკიცეს, რომ მრისხანე მბაპეს განეიტრალება სავსებით შესაძლებელი ყოფილა, ხოლო ატლეტიკო კინაღამ გულარხეინობისთვის დაისაჯა.

მოკლედ, წინ საინტერესო მეორე რაუნდია.

ათასობით ქართველი „სილარიბის გამო“ აზარტულ თამაშებს თავს ვერ ანებებს...

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებასთან ბრძოლას ჯერჯერობით მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია. მართალია, თითქმის 15 000 კაცია სპეციალურ სიაში, რომელთაც თამაში ეზღუდებათ, თუმცა საერთო მდგომარეობას ეს დიდად არ ეტყობა, ირკვევა, რომ საქართველოს ყოველი მესამე მოქალაქე სხვადასხვა აზარტულ პორტალებზეა რეგისტრირებული.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, ონლაინ სათამაშო ბიზნესის გამკაცრებული რეგულაციების შედეგად, **2022 წლის 1 მარტიდან დღემდე, დამოკიდებულ პირთა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულია 14 826 ფიზიკური პირი, აქედან მოსამართლის ბრძანების საფუძველზე – 48, ხოლო თავად პირის მომართვით – 14 778 განაცხადი.**

ამასთან, **„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკრძალულ პირთა სიაში ავტომატურ რეჟიმში შეყვანილია 1 503 989 პირის შესახებ მონაცემები.**

დამოკიდებულ პირთა სიაში საკუთარი მონაცემების შეტანის შესახებ განაცხადის წარდგენა შესაძლებელია, როგორც მატერიალური ფორმით, ასევე ელექტრონულად – ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან – „დამოკიდებულ პირთა სიაში მონაცემის შეტანა“.

„თუ პირი არ არის რეგისტრირებული შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე www.rs.ge მას შეუძლია ონლაინ ფორმატში მიიღოს აღნიშნული მომსახურება videocall.rs.ge – ვებგვერდის საშუალებით.

მიუხედავად კანონის გამკაცრებისა, თამაშზე დამოკიდებულების საკითხი ვერაფრით მოგვარდა. ამ დროს კაზინოებზე და ონლაინ თამაშებზე დამოკიდებულება ანგრევს ჩვენი მომავალი თაობის ფსიქიკას, ხშირია თვითმკვლელობის შემთხვევებიც. საკითხზე მომუშავე სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მდგომარეობას ქვეყანაში არსებული მძიმე საოციალური და ეკონომიკური ფონი კიდევ უფრო ამძიმებს.

კვლევებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე რეგისტრირებულია 1 მილიონზე მეტი ადამიანი. ციფრები შემაშფოთებელია. უმუშევრად მყოფი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ადვილად ერთვება ასეთ თამაშებში. ამიტომაც სპეციალისტები ფიქრობენ, რომ კანონის გამკაცრება, შეზღუდვები და სხვა ამგვარი, სასურველ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს. ადამიანები უამრავ გზას გამონახავენ შეზღუდვებისგან თავის ასარიდებლად.

აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით შემოღებული კანონპროექტის არაეფექტურობაზე საუბრობს ყოფილი დეპუტატი **ბექა ნაცვლიშვილი** და ხაზს უსვამს, რომ ასეთი რთული მდგომარეობიდან მთავარი ამოსავალი წერტილი ქვეყნისთვის სიღარიბის დაძლევაა.

„აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მიმდინარე კანონპროექტის განხილვას ვესწრებოდი პარლამენტში. იმთავითვე ვამბობდი, რომ მსგავსი შეზღუდვები ვერ იმუშავებდა. თავის არიდების უამრავი საშუალება არსებობს. ვისაც აკრძალული აქვს თამაში, ის სხვას თხოვს, რომ დარეგისტრირდეს სისტემაში. ჩემთვის, იმთავითვე ცხადი იყო, რომ შემოღებულ კანონს ნაკლები ეფექტი ექნებოდა. მქონდა შეთავაზება, რომ გარკვეული თანხის წაგების შემდეგ ადამიანს თამაშის გაგრძელების საშუალება არ ჰქონოდა და შეზღუდვები დაწესებულიყო, მაგრამ ინიციატივა არ მიიღეს.

შემოღებული შეზღუდვებით, თითქოს დავიცავით ახალგაზრდები და სოციაურად დაუცველები, მაგრამ 25 წელს ზევით ადამიანები, რომლებიც იგივე სიმძიმის მდგომარეობაში არიან და არ არიან სოციალურად დაუცველები რატომ მოვიძულეთ? სამწუხაროდ, ცხადია, მიდგომამ არ გაამართლა“, – განაცხადა **ნაცვლიშვილმა.**

მისივე აზრით, თამაშდამოკიდებული ადამიანების მთავარი პრობლემა არის სიღარიბე. სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის გამო ბევრი ადამიანი ონლაინ თამაშებში ერთვება.

„საზოგადოების დიდი ნაწილს თამაშდამოკიდებულება გვესმის ისე, როგორც გართობა, თითქოს მას ადამიანი თავს ვერ ანებებს. სინამდვილეში ასე არაა. მათი მთავარი პრობლემა სიღარიბეა. დაბალი ხელფასის გამო ადამიანისთვის თამაში ერთგვარი იმედია, რომ დამატებით შემოსავალს მიიღებენ. სწორედ, აქაა მთავარი პრობლემა. ვფიქრობ, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ის, რომ ჩაიკეტოს ზღვარი გარკვეული თანხის წაგების შემდეგ და წაერთვას თამაშის უფლება მოთამაშეს. საჭიროა, სახელმწიფომ გარკვეული ვალდებულება აიღოს. ათას გზას იპოვის ადამიანი, ამიტომაც რეალური რეგულაციები აუცილებელია“, – აღნიშნა **ნაცვლიშვილმა.**

ბექა დანელია

ᲐᲠᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ

სიკეთით სავსე მამულიშვილი

40 დღის გადმოსახედიდან უფრო ნათლად ჩანს ᲒᲘᲕᲘ ᲐᲑᲖᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ გარდაცვალებით გამოწვეული დიდი დანაკლისი. ის იყო გამორჩეული, ყოველმხრივ ღირსეული, უანგარო და პროფესიონალი სამეურნეო და სახელმწიფო მოღვაწე, ნამდვილი ლიდერი, მეგობრობის და თანადგომის დიდი მადლით გამორჩეული ქუთაისელი კაცი, დახვეწილი და ზნეობრივად ამაღლებული მამულიშვილი, ღრმად განსწავლული პატრიოტი.

სადაც არ უნდა ემუშავა გივი აბზიანიძეს, ყველგან ხალხის და თანამოაზრეების, თანაგუნდელების სიყვარულს იმსახურებდა.

წლების განმავლობაში იყო ქალაქ ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, პარტიის ქუთაისის და წყალტუბოს საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, უცხოეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ჩამოყალიბების თაოსანი და ორგანიზატორი. მან თავისი პრაქტიკული და გონივრული მოღვაწეობით, დროს გაუსწრო.

როგორც დიდებული ქართველი (ქუთაისელი) პოეტი მიხეილ ქვლივიძე იტყოდა, გივი აბზიანიძე იყო კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!

გივი აბზიანიძე იყო სიკეთით სავსე პიროვნება, ჩინებული ოჯახის მამა და მაგუა, რომელიც დააკლდა მთელ საქართველოს.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს.

მსუბუქი იყოს მისთვის ქუთაისის მიწა.

მეგობრების სახელით:

მირზა ქორქაშვილი, გურამ გუნავა, დემურ გადელია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ჭითანავა, თამაზ ცანავა, ზურაბ ანთაძე, სულიკო გაგუა.

ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ

ნოდარ თოფურია, მანანა ფურცელაძე, ლაშა თოფურია, ქრისტინა კოზერიძე, თეა თოფურია

გულითადად თანავუგრძნობთ გიორგი და ოთარ მარვენაშვილებს საყვარელი დედის, ასობით პაციენტის პროფესიონალი მკურნალის, შესანიშნავი ქალბატონის

ქეთევან ვახტანგაძის

გარდაცვალების გამო.

ქალბატონ ქეთევანს უფალმა ზეცაში დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ

მოძალადე სამართალდამცავი დაკავებულია

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ძალადობისა და მუქარის ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ მრალდებული, მეუღლეზე სისტემატურად ძალადობდა, ხოლო მასთან გაშორების შემდეგ, 2022 წლის დეკემბრიდან 2024 წლის აპრილამდე პერიოდში, სატელეფონო კომუნიკაციისას, ასევე, ინტერნეტ-აპლიკაციით ხმოვანი შეტყობინებების გაგზავნის გზით, სამართალდამცავი დაზარალებულსა და მის ოჯახის წევრებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. ასევე, 2023 წლის 22 აგვისტოს, მრალდებულმა დაზარალებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში, ჭიშკარზე მუქარის შემცველი ტექსტი დაწერა და დაშინების მიზნით იქვე სამრძოლო ვაზნა დატოვა. გარდა ამისა, 2023 წლის 25 ოქტომბერს, შვილის წაყვანასთან დაკავშირებით, მრალდებულს კონფლიქტი მოუვიდა დაზარალებულთან, ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა და მუქარის ნიშნად იარაღიდან სამჯერ გაისროლა, რის შემდეგაც დატოვა შემთხვევის ადგილი. ასევე, 2024 წლის 29 მარტს, მრალდებულმა დაზარალებულს აპლიკაცია „Whatsapp“-ით ხმოვანი შეტყობინებები გაუგზავნა, სადაც კვლავ სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებული ქალის მომართვის შემდეგ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა. გამოიკითხნენ მოწმეები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, მოპოვებული იქნა ნივთიერი მტკიცებულება და ელექტრონული ინფორმაცია, რის შემდეგაც 2024 წლის 10 აპრილს, სამართალდამცავი დაკავებული იქნა ოჯახში ძალადობისა და მუქარის მრალდებით. დანაშაული 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცავს მრალდება 48 საათში წარედგინება. სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე აგრძელებს გამოძიებას.

სატვირთო მანქანის სამალავში გამოჭერილი თურქი მაფიოზები!

თურქეთიდან საქართველოში განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები, სატვირთოს მანქანით, მალულად შემოვიდნენ. სარფის სასაზღვრო პუნქტი მათ ავტომობილში მოწყობილი სამალავით გამოიარეს, თუმცა სასაზღვრო პოლიციამ დამნაშავეებს მალევე მიაგნო. ხუთი დაკავებულიდან ორი – ძმები ომერ და რობინ გიუნეშები მძიმე დანაშაულისთვის იძებნებიან.

ძებნილი ძმები საქართველოში ფარულად მას შემდეგ შემოვიდნენ, რაც სტამბოლის ცენტრში, ხალხმრავალ ადგილას, ახალგაზრდა მამაკაცი ჩაცხრილეს. სათვალთვალო კამერის ჩანაწერებში ჩანს, თუ როგორ შედიან ომერ და რობინ გიუნეშები ერთ-ერთ გასართობ დაწესებულებაში, რამდენიმე წუთში კი, ტერიტორიას სხვა პირებთან ერთად ტოვებენ, რის შემდეგაც გარე პერიმეტრზე სისხლიანი ანგარიშსწორება იწყება. კადრებში ჩანს, თუ როგორ ისვრიან ძმები ცეცხლსასროლი იარაღებით რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე. სტამბოლის ცენტრში გახმაურებულ მკვლელობასა და მრალდებულების საქართველოში დაკავებას აქტიურად აშუქებს თურქული მედია. პრესა წერს, რომ მრალდებულებს კავშირი აქვთ ნარკოკარტელთან, რომელსაც თურქული წარმოშობის შვედეთის მოქალაქე, ვინმე რავა მაჯიდი ხელმძღვანელობს.

მოკლული მამაკაცის მამა დარწმუნებულია, რომ მკვლელობის უკან ნარკოკარტელი დგას. ოჯახი დამნაშავეების თურქეთში ექსტრადირებას ითხოვს. განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს საქართველოში მრალი საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე უკვე წარედგინათ.

ყველაზე მეტი ჯარიმა ფარმაცევტულ კომპანიებს დააკისრეს

2023 წელს, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ მოკვლევის მიმართულებით კომპანიებს ჯამში 58 419 983 ლარის ჯარიმა დააკისრა, – ამის შესახებ სააგენტოს წლიურ ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ცნობით, **ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲓᲐᲜ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ – 53 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲘ ᲙᲘ ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ.**

როგორც ანგარიშში წერია, გასულ წელს, სააგენტომ რვა მოკვლევის საქმე დახურა, საიდანაც გამორჩეული იყო სამი შეთანხმებული ქმედების თემა – ფარმაციის, საწვავისა და ონლაინ ბილეთების ბაზარზე.

მაგალითად, ფარმაცევტული ბაზრის საქმეზე, სააგენტომ, ფარმაცევტულ სექტორში, ოთხი კომპანია კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების გამო დააჯარიმა. მოკვლევით დადგინდა, რომ 2021-2023 წლებში, ონკოლოგიური მედიკამენტების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კომპანიებს შეთანხმებული ფასები ჰქონდათ.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲛ ᲐᲛ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲡ ᲯᲐᲛᲣᲠᲐᲓ 53 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲓᲐᲐᲙᲘᲡᲠᲐ: „ᲐᲕᲔᲠᲡᲘ“ – 14 402 425 ᲚᲐᲠᲘ; „ᲒᲔᲤᲐ“ – 20 349 336 ᲚᲐᲠᲘ; „ᲞᲡᲞ“ – 17 094 872 ᲚᲐᲠᲘ; „ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘ“ – 951 301 ᲚᲐᲠᲘ.

რაც შეეხება ნავთობკომპანიების საქმეს, საკითხი ეხებოდა 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში, კოორდინირებული ქცევის შედეგად, საავტომობილო საწვავის ბაზარზე მაღალი ფასების შენარჩუნებას.

სააგენტოს მოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ მიზეზი ხუთი კომპანიის კოორდინირებული ქმედება იყო. ამ შემთხვევაში სააგენტომ კომპანიები ჯამურად ოთხ მილიონამდე ლარით დააჯარიმა. **ᲙᲔᲠᲫᲝᲓ: ᲨᲠᲡ „ᲡᲐᲜ ᲞᲔᲢᲠᲝᲚᲘᲣᲛ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ“ – 1 073 998 ᲚᲐᲠᲘ; ᲨᲠᲡ „ᲠᲝᲛᲞᲔᲢᲠᲝᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ – 987 886 ᲚᲐᲠᲘ; ᲨᲠᲡ „ᲡᲝᲙᲐᲠ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲚᲘᲣᲛᲘ“ – 719 310 ᲚᲐᲠᲘ; ᲡᲡ „ᲕᲘᲡᲝᲚ ᲞᲔᲢᲠᲝᲚᲘᲣᲛ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ“ – 693 576 ᲚᲐᲠᲘ; ᲨᲠᲡ „ᲚᲣᲙᲝᲘᲚ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ“ – 450 590 ᲚᲐᲠᲘ.**

ტრადიციული შესამოსელი „ერისიონისთვის“

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონს“ საჩუქრად ტრადიციული სასცენო სამოსი გადასცა.

ანსამბლს გადაეცა ცეკვა „მთიულური“ სასცენო კაბის 18 კომპლექტი, რისთვისაც კულტურის სამინისტრომ გამოყო 16 182 ლარი. ახალი სასცენო სამოსი შეკერა ტენდერით შერჩეულმა კომპანია „ფაფანაკმა“.

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ 1885 წელს შეიქმნა და მესამე საუკუნეში შეაბიჯა, რის გამოც მას ანსამბლ-მუზეუმსაც კი უწოდებენ.

2002 წელს პარიზში „ერისიონს“ გადაეცა ოქროს დისკი. ასევე, კომპანია „უნივერსალმა“ შეარჩია და გამოსცა მსოფლიოს საუკეთესო შემსრულებლების – მონსერატ კაბალიეს, ფრედი მერკურის, ანდრეა ბოჩელის, ლუჩიანო პავაროტის, სარა ბრიტმანის, ხოსე კარერასის,

პლასიდო დომინგოს, მარია კალასისა და სხვათა ჩანაწერები. მათ შორის არის ანსამბლ „ერისიონის“ შესრულებული „სამაია“ („შატილის ასულო“) პროგრამა-სანახაობიდან „ქართული ლეგენდა“.

ანსამბლის საერთაშორისო მიღწევები უპრეცედენტოა ქართული კულტურის ისტორიაში. 1977 წელს მსოფლიოს რამდენიმე მუსიკალურ შედევრთან ერთად NASA-ს მიერ გალაქტიკაში გაგზავნილი „ჩაკრულო“ „ერისიონის“ სოლისტებმა – როსტომ საგინაშვილმა და ილია ზაქაიძემ შეასრულეს.

137-წლიანი ისტორიის ანსამბლ „ერისიონს“ ქართველმა ხალხმა 2010 წელს დამსახურებულად გაუხსნა ვარსკვლავი. წელს დასრულდება კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით 2021 წელს ანსამბლ „ერისიონისთვის“ სახელმწიფოს მიერ გადაცემული შენობის რეაბილიტაცია.

2022 წელს კულტურის სამინისტროსგან ანსამბლ „ერისიონს“ საჩუქრად გადაეცა 61 ერთეული ტრადიციული სასცენო სამოსი, კერძოდ, 15 კაბა „ოსურის“ მოცეკვავეებისთვის, 28 ჩოხა „ხევსურულის“ მოცეკვავეებისთვის და 18 ჩოხა-ახალუხი მომღერლებისთვის.

ბათუმი ევროპის საუკეთესო მიმართულებების ოცეულშია

სამოგზაურო პლატფორმა European Best Destinations 2024 წლის ევროპის საუკეთესო მიმართულებებს ასახელებს. საუკეთესო ოცეულში ევროპის ყველაზე პოპულარულ ტურისტულ ადგილებთან ერთად ბათუმიც მოხვდა. საუკეთესო ევროპული ტურისტული მიმართულებები მსოფლიოს 172 ქვეყნიდან მილიონზე მეტმა ადამიანმა რუროპეან Best Destinations-ის პლატფორმის საშუალებით შეარჩია.

„ბათუმი ყველაზე ტრენდულ მიმართულებებს შორისაა, დაივიწყეთ ბარსელონა და ბერლინი, ბათუმი უფრო მეტად საოცარი, ამაღელვებელი, ხელმისაწვდომი და ეგზოტიკურია. ბათუმში ისტორია თანამედროვეობას ერწყმის, აქ, აჭარის რეგიონში, აღმოაჩენთ ხელუხლებელ ბუნებას. აქ შეგიძლიათ სანაპიროზე დღეები გაატაროთ, აქაურობა საინტერესოა ღამის ცხოვრების მოყვარულთათვის. აჭარაში კარგად დაისვენებთ ოჯახთან, მეგობრებთან ერთად. აქ გელოდებათ რომანტიკული დღეები. აჭარაში დააგემოვნებთ რეგიონის გემრიელ კერძებს. ბათუმი მოგზაურობის სენსორია, ეს უნიკალური და დაუვიწყარია ადგილია მთელ მსოფლიოში“, – წერს European Best Destinations ბათუმის შესახებ.



სტეფანწმინდა მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია!

ბრიტანულმა სამოგზაურო მედიაპლატფორმამ, TimeOut-მა მსოფლიოს ულამაზესი 16 პატარა ქალაქი დაასახელა. მსოფლიოში პოპულარულ ტურისტულ ქალაქებს შორის სტეფანწმინდაც მოხვდა.

„დახვეწილი, ჯადოსნური და ძალიან ლამაზი ადგილები – ნეპალის მთებიდან კალიფორნიის სანაპირომდე ამ ქალაქების სახით თქვენ დამალულ განძს იპოვით“, – წერს მოგზაური მწერალი ინდიანჯეინ ტრაინორი.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, სტეფანწმინდა არის შორეული, ამავდროულად ისტორიული ადგილი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს გზაჯვარედინზე, ევროპასა და აზიას შორის მდებარეობს.

„სტეფანწმინდა, რომელიც ასევე ყაზბეგის სახელით არის ცნობილი, კავკასიის მთების ხეობაში მდებარეობს. სტეფანწმინდა პირდაპირ უყურებს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ადგილს, მე-14 საუკუნეში აგებულ გერგეტის სამების ტაძარს. ბორცვზე აშენებული ეკლესიის გადაღმა მყინვარწვერი მდებარეობს. ეს არის შორეული, ამავდროულად ისტორიული ადგილი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს გზაჯვარედინზე, ევროპასა და აზიას შორის მდებარეობს, დასახლება ძვ.წ. მე-6 საუკუნით თარიღდება. სტეფანწმინდა იდეალური ადგილია, შეისწავლოთ ყაზბეგის ეროვნული პარკი, ჩანჩქერები, ცხელი წყაროები და გულის ფორმის ტბა“, – წერს სტატიის ავტორი.

თვითგანდიდება გერმანულად

გერმანიაში, თანამედროვე ხელოვნების გალერეის ხელმძღვანელობამ სამსახურიდან დაითხოვა თანამშრომელი, რომელმაც გამოფენაზე საკუთარი ნახატი დაკიდა.

შემთხვევა მიუნხენში, გალერეაში Pinakothek der Moderne მოხდა. 51 წლის კაცი გალერეის ტექნიკურ გუნდში მუშაობდა და საკუთარ თავს თავისუფალ არტისტად თვლის. მან თავისი ნახატი, რომლის ზომაც 60X120 სანტიმეტრზეა ცარიელ დერეფანში დაკიდა. კაცს იმედი ჰქონდა, რომ ეს მისი პროფესიული გარღვევა იქნებოდა.

თუმცა გამოფენის კურატორმა უცხო ნახატი დაუყოვნებლივ შეამჩნია და ტილო მხატვარს დაუბრუნა. სამსახურის დაკარგვასთან ერთად უიღბლო მხატვარს გალერეაში შესვლაც აეკრძალა.

„ჯოკერის“ გაგრძელების პირველი თრეილერი

კინოკომპანიამ Warner Bros. Pictures ტოდ ფილიპსის ფილმის „ჯოკერი: სიგიჟე ორისთვის“ პირველი თრეილერი წარადგინა.

ჯოკერის როლს სურათში ხოაკინ ფენიქსი დაუბრუნდა. ფილმში ასევე თამაშობს ლედი გაგა, რომელიც ჯოკერის შეყვარებულის, ჰარლი ქუინის როლს ასრულებს. ცნობილია, რომ „სიგიჟე ორისთვის“ მიუზიკლი იქნება. „ჯოკერი: სიგიჟე ორისთვის“ ეკრანებზე 2024 წლის 4 ოქტომბერს გამოვა. პირველი „ჯოკერი“ 2019 წელს გამოვიდა და მსოფლიო გაქირავებაში მილიარდ დოლარზე მეტი მიიღო. ხოაკინ ფენიქსმა ჯოკერის როლისთვის „ოსკარი“ მიიღო კატეგორიაში „საუკეთესო მსახიობი კაცი“.

პოპულარული მეგა შოუს კოსტიუმების გამოფენა

ვიდრე „იმედზე“ პროექტის „ვინ ვინ არის“ მესამე სეზონი დაიწყება, ქართულ სატელევიზიო სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ მეგა შოუს გალერეა „გამრეკელი მოდერნი“ მასპინძლობს.

გამოფენაზე დამთვალიერებელი პროექტის განვლილი ორი სეზონის კარგად ნაცნობი პერსონაჟების კოსტიუმებსა და ესკიზებს ნახავს. ექსპოზიცია დამთვალიერებელს ერთი კვირის განმავლობაში ელის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 15 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6720; ევრო - 2.8663;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3491;
100 რუბლი - 2.8667; თურქული ლირა - 0.0829;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5722;
1000 სომხური დრამი - 6.8624

ამინდი 12 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+6,	დღე +26
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე +24
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+7,	დღე +22
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე +25
თბილისი:	ღამე	+11,	დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge